ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი, 2019 №234 (8188) ფასი: 60 თეთრი

გოგა წურწუმიამ ციხეში თავი ჩამოიხრჩო



ციხის უფროსი მოხსნეს

გვ.5

1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

უკრაინის პოლიციამ ზოთა ჭიჭიაშვილი მოკლა

გვ.2

სააკაშვილი: „ჭიჭიაშვილი ოდესაში ჩემს გარემოცვაზე ინფორმაციას აგროვებდა“

გივი თარგამაძე: „ჩემი ამფეთქებელი დიმიტრი აბრამიშვილი ჭიჭიაშვილის მარჯვენა ხელი იყო“

„ნაციონალები არჩევნებზე მარტო აპირებენ გასვლას“

მამუკა გამყრელიძე: „გაერთიანებულ ოპოზიციას წყალი შეუდგა“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილი მზად არის, ხელისუფლება მთლიანად ჩამოიშოროს“

გვ.3

გიორგი გუგავა: „კალაძე მალე ტაქსის კომპანიებს გახსნის“

„ტაქსისტების ოჯახებს ლუკმაპურის გარეშე ტოვებენ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით“

გვ.2

ირმა ნადირაშვილი: „პროკურატურამ დიმიტრი გაბუნიას საქმე უნდა გამოიძიოს“

გვ.3



სამართალი

ადვოკატი ნაირა ოტიაშვილი დააკავეს

გვ.5

მასთან ერთად დედა-შვილია დაკავებული

ოქრუაშვილის დაცვის წევრი პატიმრობაში დარჩა

საფრანგეთის ციხეში 23 წლის ნიკა კოშაძე გარდაიცვალა

გვ.5

სუსმა კომპანია ტ და გ-ს დირექტორი ტარიელ ბ. დააკავა

ISSN 1987-9385

2 1 ოქტომბერს დაჯარიმებული ტაქსის მძღოლები ჯარიმებისგან გათავისუფლდებიან

4 თამარ ჩხეიძე: „ქართულმა ოცნებამ“ კომპარტიას გადააჭარბა“

6 ჩრდილოეთ კორეამ ამოუცნობი ჭურვი გაუშვა

4 პეტრე მამრაძე: „აფხაზეთისა და ცხინვალის დეოკუპაციაზე რუსეთთან დიალოგი გამორიცხულია“

უკრაინის პოლიციამ შოთა ჭიჭიაშვილი მოკლა

სააკაშვილი: „ჭიჭიაშვილი ოდესაში ჩემს გარემოცვაზე ინფორმაციას აგროვებდა“

1 ოქტომბერს უკრაინაში სპეცოპერაციის დროს საქართველოს მოქალაქე შოთა ჭიჭიაშვილი მოკლეს.

უკრაინული მედიის ცნობით, საქართველოს მოქალაქემ სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნა. ინციდენტი სოფელ ხოტიანოვკაში მოხდა. სპეცოპერაციის ფარგლებში პოლიცია ეძებდა მამაკაცს, რომელმაც მიმდინარე წლის 23 სექტემბერს ცეცხლი გაუხსნა სამართალდამცველებს.

– ეს არის საქართველოს მოქალაქე, რომელსაც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისთვის 22 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი დანაშაულებრივი დაჯგუფების, ადამიანთა გატაცებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ფლობის გამო. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ იგი სოფელ ხოტიანოვკაში იმალებოდა, მის დასაკავებლად სპეცოპერაცია დაიგეგმა პროკურატურასთან შეთანხმებით, – განაცხადა კიევის პოლიციის ხელმძღვანელმა ანდრეი კრიშჩენკომ.

მისივე თქმით, პოლიციამ ჭიჭიაშვილს დანებება შესთავაზა, თუმცა, საქართველოს მოქალაქემ ცეცხლი გახსნა სამართალდამცველების წინააღმდეგ, საპასუხოდ კი სპეცრაზმმა მისი ლიკვიდირება მოახდინა.

საქართველოს შსს-ს ინფორმაციით, უკრაინულ მხარესთან აღნიშნულ საკითხზე კომუნიკაცია უკვე შედგა.

– გიდასტურებთ, რომ გარდაცვლილი არის შოთა ჭიჭიაშვილი. საკითხზე კომუნიკაცია უკრაინულ მხარესთან უკვე შედგა, – აცხადებენ შსს-ში.

შოთა ჭიჭიაშვილი 2013 წელს ამნისტიის საფუძველზე პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

მანამდე ის მოსკოვში 2003 წლის 24 ივნისს დააკავეს. რუსეთის ხელისუფლებას მან პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა. თუმცა, რუსეთის პრეზიდენტმა მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა.

2004 წლის 21 იანვარს მისი საქართველოში ექსტრადირება განხორციელდა.

ჭიჭიაშვილს შეიარაღებულ ბანდიტურ დაჯგუფებებში მონაწილეობისთვის ქართველი სამართალდამცავები 1997 წლიდან ეძებდნენ. 2000 წლიდან იგი უკვე ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებოდა. მას ადამიანების გატაცებებსა და მკვლელობებში ედებოდა ბრალი.

გამოძიების მტკიცებით, სწორედ მისი ორგანიზებულია ისეთი ცნობილი და გახმაურებული საქმეები, როგორებიცაა: ბრიტანელი ბანკირის პიტერ შოუს, ესპანელი ბიზნესმენების, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წევრებისა და დეპუტატ პეტრე ცისკარიშვილის გატაცება და პანკისის ხეობაში დატყვევება, ასევე გივი თარგამაძის აფეთქება.

თარგამაძემ ნიუპოსტს უთხრა, რომ აფეთქების ორგანიზატორად თავიდანვე ასახელებდა შოთა ჭიჭიაშვილს.

– შოთა ჭიჭიაშვილი შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ერთ-ერთი სასტიკი კრიმინალური დაჯგუფების ხელმძღვანელი იყო. ეს დაჯგუფება ძირითადად პანკისში, თუმცა ქვეყნის სხვა ტერიტორიაზეც მოქმედებდა.

დადასტურებულად შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი ამფეთქებელი დიმიტრი აბრამიშვილი, რომელიც კადრებშიც ჩანდა და პროკურატურამაც დამიდასტურა, ჭიჭიაშვილის ბანდის წევრი და ჭიჭიაშვილის მარჯვენა ხელი იყო.

ყველას, ვინც ჩემს საქმეში მონაწილეობდა, გადაკვეთა ჰქონდა პირველ მუხროვანის ამბოხთან და იქ იყო ადგილზე. მისივე აღიარებით, ჭიჭიაშვილმა ღამით ყაზარმები დაიკავა და დილით ოთანაძეს გადასცა, რომლის გამოზრდილი იყო დათო დეჩუაშვილი, რომელიც ოფიციალურად ჩემი ამფეთქებელია.

ბორის ჩაგუნავაც, რომელიც ჩემს საქმეზე დროებით იყო დაკავებული და შემდეგ გაათავისუფლეს, იქ იმყოფებოდა და სრულ კვეთაში იყო აღნიშნულ ამბოხთან, – უთხრა ნიუპოსტს თარგამაძემ.

კომენტარი მიხეილ სააკაშვილმაც გააკეთა.

– ჩემი წყაროს ინფორმაციით, შოთა ჭიჭიაშვილი ბოლო დროს ოდესაში იყო და ინტენსიურად აგროვებდა ინფორმაციას ჩემი გარემოცვის წევრებზე, რაზეც გაგვაფრთხილეს კიდევაც უკრაინელმა სამართალდამცავებმა, – დაწერა მან ფეისბუქში.

გივი თარგამაძე: „ჩემი ამფეთქებელი დიმიტრი აბრამიშვილი ჭიჭიაშვილის მარჯვენა ხელი იყო“

– კრიმინალ ჭიჭიაშვილს ჩემი პრეზიდენტობის დროს მიუსაჯეს 22 წელი, შემდეგ ივანიშვილის ბრძანებით გამოუშვეს და ჩემი ინფორმაციით, სპეცდავალებით გამოუშვეს უკრაინაში.

ის უკრაინაში გუშინ პოლიციამ მოკლა შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის მერე, – დაწერა სააკაშვილმა.

ზვიად კუპრავას ირაკლი ზაქარეიშვილზე ძალადობისთვის 1.000 ლარი დაეკისრა

სამართალდამცავთა „რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილზე ძალადობაში სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას 1.000 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დალი მეტრეველმა გუშინ, 2 ოქტომბერს, გამოაცხადა.

სხდომაზე დაცვის მხარემ დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა. საბოლოო სიტყვით ისარგებლა თავად ბრალდებულმაც. კუპრავას განცხადებით, ირაკლი ზაქარეიშვილს მის მიმართ კერძო ინტერესები აქვს.

ზვიად კუპრავას ირაკლი ზაქარეიშვილის საჩივრის საფუძველზე ბრალი 2019 წლის 19 თებერვალს წაუყენეს. ზაქარეიშვილი კუპრავას ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს. საქმე ეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში რამდენიმე თვის წინ მომხდარ ფაქტს.

ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ მას ზვიად კუპრავა თავს დაესხა. მისივე განმარტებით, სასამართლოს ეზოში მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ამასთან, ზვიად კუპრავა მსჯავრდებულია სასამართლოს უპატივცემლობის ფაქტზე. მას 9 თვით თავისუფლების აღკვეთა აქვს შეფარდებული.

კუპრავა პენიტენციურ დაწესებულებას 24 ნოემბერს დატოვებს.

ოქრუაშვილის, ჯავახიშვილისა და დათაშვილის საქმე ცალკე გამოიყო

გუშინ, 2 ოქტომბერს, ირაკლი ოქრუაშვილისა და 20 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების, გიორგი ჯავახიშვილისა და თორნიკე დათაშვილის საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილმა მიიღო.

საქმის ცალკე გამოყოფასთან დაკავშირებით შუამდგომლობა ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა, მამუკა ჭაბაშვილმა დააყენა.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ როგორც დაკავებულების ადვოკატები, ასევე ბრალდების მხარე.

გიორგი ჯავახიშვილმა და თორნიკე დათაშვილმა ბრალი აღიარეს.

რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილის პოზიციას, ვინაიდან ის სასამართლო პროცესს არ ესწრებოდა, მისმა ადვოკატმა, მამუკა ჭაბაშვილმა განაცხადა, რომ ოქრუაშვილი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს.

– ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტპატიმარია, ეს მე მგონი, ყველასთვის აშკარაა, – ამის შესახებ ჟურნალისტებს სასამართლო პროცესის დაწყებამდე ოქრუაშვილის მეუღლემ, ირინა გორდელაძემ განუცხადა.

გორდელაძემ იმედი გამოთქვა, რომ სამართლიანი მოსამართლე შეხვდებათ.

– აქამდე რა პროცესებსაც დავესწარი, ეს იყო ფაქტობრივად ფარსი. ეტყობოდა, რომ გადაწყვეტილება წინასწარ იყო მიღებული და მხოლოდ ამის გაჟღერება ხდებოდა. არ ჩანდა, რომ მტკიცებულებების გათვალისწინება ხდებოდა. იმედი მაქვს, ეს შეიცვლება და უფრო სამართლიანი მოსამართლე შეგხვდება, – განაცხადა გორდელაძემ.

1 ოქტომბერს დაჯარიმებული ტაქსის მძღოლები ჯარიმებისგან გათავისუფლდებიან

1 ოქტომბერს დაჯარიმებული ტაქსის მძღოლები ჯარიმებისგან გათავისუფლდებიან.

ამის შესახებ მედიასთან განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ გააკეთა.

როგორც მან განმარტა, შესაბამისი გადაწყვეტილება იქიდან გამომდინარე მიიღეს, რომ გარკვეულმა ჯგუფებმა არასწორი მოლოდინების გაჩენა შეძლეს და მძღოლები შეცდომაში შეიყვანეს.

მამუკა მდინარაძის თქმით, პატრულთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, საუბარია 700-ზე მეტ დაჯარიმებულ მძღოლზე.

– რეფორმა 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა. იმის გამო, რომ გარკვეულმა ჯგუფებმა არასწორი მოლოდინების გაჩენა შეძლეს და შეცდომაში შეიყვანეს მძღოლები 1 ოქტომბერთან დაკავშირებით, მძღოლების ნაწილს ეგონათ, რომ 1 ოქტომბერს ისინი არ დაჯარიმდებოდნენ და ე.წ. საშეღავათო პერიოდი 1 ოქტომბრამდე იყო. ისინი გამოვიდნენ ქალაქში და პატრულისგან 200 ლარიანი ჯარიმებით დაჯარიმდნენ.

გადავწყვიტეთ, რომ ამ გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად, ფინანსური წნეხის, ჯარიმის მოსახსნელად, ქალაქის მერთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, უმრავლესობასთან ერთობლივი შეთანხმებით, ერთჯერადი საკანონმდებლო აქტის ინიცირება მოვახდინეთ, რომლის მიხედვითაც, ტაქსის იმ მძღოლებს მოეხსნებათ ჯარიმები, რომლებიც 1 ოქტომბერს დაჯარიმდნენ, – განაცხადა მდინარაძემ.

მისივე თქმით, შესაბამისი ერთჯერადი აქტის ინიცირება მომდევნო სასესიო კვირაში მოხდება.

იპნ

გიორგი გუგავა: „კალაძე მალე ტაქსის კომპანიებს გახსნის“

„ტაქსისტების ოჯახებს ლუკმაპურის გარეშე ტოვებენ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით“

იავო ნაცვლიშვილი

1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა ტაქსების შესახებ ახალი რეგულაციები, რომლის მიხედვითაც დედაქალაქში იკრძალება ტაქსი, თუ ის თეთრი ფერის არ არის. ამან ბევრი პრობლემა, მათ შორის ტაქსების ფასების ზრდაც გამოიწვია. ამასთან ბევრი თვითდასაქმებული ადამიანი სამსახურის და შემოსავლის გარეშე დარჩა.

ტაქსების რეგულაციების თემაზე რამდენიმე თვის წინ „ლეიბორისტული პარტიის“ ორგანიზებით დედაქალაქში აქციები იმართებოდა, შედეგად პროცესმა რამდენიმე თვით გადაიწია. ხომ არ გეგმავენ აქციებს და ვის ინტერესებს ხედავენ ტაქსების რეგულაციის პროცესში? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა საუბრობს:

– ძალაში შევიდა რეგულაცია, რომლის მიხედვითაც ტაქსები მხოლოდ თეთრი ფერის უნდა იყოს. რამდენიმე თვის წინ ამ თემაზე გამართული აქციების ინიციატორი თქვენი პარტია იყო. დღეს რა ვითარებაა და უნდა ველოდოთ თუ არა, რომ შესაძლოა კვლავ გამოხვიდეთ ქუჩაში?

– საკმაოდ მძიმე ვითარებაა და როგორც ვვარაუდობდით და როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მაფიოზურმა გადაწყვეტილებამ თეთრად გადაეღებათ ტაქსები, სრული კრახი განიცადა. იქიდან გამომდინარე, რომ სულ რაღაც 2000-მდე ტაქსი ჰყავთ თეთრად შეღებილი, მაშინ როდესაც, 30 000-მდე ლიცენზირებული ტაქსია თბილისში და ლიცენზიის გარეშეც იყო არაერთი ტაქსი. ეს ადამიანები დარჩნენ უმუშევრები და ულუკმაპუროდ. ამავე დროს მომენტალურად გაძვირდა ტაქსის მომსახურეობა.



სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსად ავთანდილ გალდავა დაინიშნა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი შეიცვალა.

აღნიშნულ თანამდებობაზე, რომელსაც ამ დრომდე ნიკოლოზ დიასამიძე იკავებდა, ავთანდილ გალდავა დაინიშნა.

ნიკოლოზ დიასამიძე აღნიშნულ პოსტს, დაახლოებით, წელიწადნახევრის განმავლობაში იკავებდა. გალდავა კი სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად მუშაობდა.

ნათია მეზვრიშვილმა კახი კახიშვილი შეცვალა

მთავრობის ადმინისტრაციას ნათია მეზვრიშვილი უხელმძღვანელებს. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე ნათია მეზვრიშვილი დაინიშნა. კახი კახიშვილი კი, რომელიც მანამდე აღნიშნულ პოზიციას იკავებდა, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გახდა.

ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაციონალები არჩევნებზე მარტო აპირებენ გასვლას“

მამუკა გამყრელიძე: „გაერთიანებულ ოპოზიციას წყალი შეუდგა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის წევრი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, რა ხდება ოპოზიციაში, რატომ დაერიეთ ერთმანეთს, რა შეიცვალა?

– შეიცვალა განლაგება. მოდით, ღიად ვთქვათ, რომ პირდაპირ სტამბოლის ბაზარი გაიხსნა აი ამ პოლიტიკურ ველზე. ამის მიზეზი კი გახლავთ ეს ე.წ. 0,67%-იანი ბარიერი, რომელიც ხელისუფლებამ შემოგვთავაზა. აი ეს ბარიერი იძლევა საშუალებას, რომ ვიღაცებს გაუჩნდეთ სურვილი და ილუზია იმისა, რომ აქ შეიძლება რაღაცა უფრო მეტის გამოდნობა საკუთარი თავისთვის.

ეს არის ქართველების უდიდესი პრობლემა, რომ ძალიან ხშირად ქართველები უფრო მაღლა აყენებენ პირადულს, ვიდრე სახელმწიფოებრივ ინტერესს. აქედან გამომდინარე მივიღეთ ის, რომ ყველამ დაიწყო საკუთარ თავზე ფიქრი. მათ ხელისუფლების დამარცხება კი აღარ უნდათ, მათი სურვილია, როგორმე მოხვდნენ პარლამენტში და ხელისუფლებისაგან ბენეფიტები მიიღონ.

გაერთიანების იდეაც ნელ-ნელა მივიწყებას ეძლევა. პარტიებიდან ამის დიდ ინტერესს ვეღარ ვხედავ, სამწუხაროდ. თუნდაც ის, რაც 1 ოქტომბერს მოხდა.

– რა მოხდა 1 ოქტომბერს?

– ძალიან საინტერესო პროცესი დავიწყეთ გიორგი ვაშაძის ინიციატივით, ამაზე ვმუშაობდით რამდენიმე თვის განმავლობაში, დავიწყეთ პროგრამის კეთება, დიდი საარჩევნო პროგრამის, რომელსაც დავარქვით სტრატეგია აღმაშენებელი. აღმაშენებელი ნიშნავს აშენებას და არა მაინცდამაინც დავით აღმაშენებელს.

– ნაციონალები არ მოვიდნენ ამ პრეზენტაციაზე.

– არ მოვიდნენ! სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი არ იყო.

– რატომ არ იყო, ისინიც ხომ გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალი პარტიაა?

– არ იყო. ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ვანგა არა ვარ და არც ლელა კაკულია, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ასე იქნებოდა და ეს ძალიან სამწუხაროა.

– ანუ გაერთიანებულ ოპოზიციასაც წყალი შეუდგა?

– ასე მოხდა. მე ამას ვთვლი დემარშად. როდესაც არავინ მოვა 124 კაციანი პოლიტსაბჭოდან, ამას რა უნდა დავარქვათ?! საერთოდ ჩვენი შეხვედრები, გაერთიანებული ოპოზიციის, ბოლო პერიოდში უფრო და უფრო იშვიათი ხდებოდა. ამდენი ხანი გავიდა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და ისიც ვერ მოვახერხეთ, რომ სტრუქტურა შეგვექმნა.

– რა გამოდის, რომ ნაციონალებსაც ცალკე უნდათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება?

– არ გამოვრიცხავ. მე სრულიად დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს, რომ მათ პოლიტსაბჭოში არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ რა საჭიროა სხვებთან ერთად გასვლა, ჩვენ საკმარის ხმებს ისედაც ავიღებთო.

– წინა ინტერვიუში ამაზე მინიშნებით უკვე საუბრობდით და ისიც თქვით, რომ დიდი ამბავი ატყდება, ამაზე რომ ღიად ვსაუბრობო, მაგრამ ფაქტია, რომ ნაციონალებიც განზე გადგნენ.

– ყველამ ნახა, რომ ასეა. საერთოდ არ მოვიდნენ, არადა გიორგი ვაშაძე აცხადებს, თუ ვინმეს რამე მოგეწონებათ ამ სტრატეგიიდან, წაიღეთ, გინდა მთლიანად, გინდა ნაწილ-ნაწილ. აქ საუბარი არ შეიძლება იყოს წერტილოვან ცვლილებებზე, რეფორმები უნდა მოხდეს მთლიანად. თუ ეს არ გავაკეთეთ, ნაწილობრივ რეფორმები არაფერს მოიტანს. რაღაცა ერთიანი მიზანი გვჭირდება და ვერაფრით მივიყვანეთ ეს ხალხი აქამდე.

– ეს ყველაფერი არ ასხამს ივანიშვილის წისქვილზე წყალს?

– მე რამდენჯერ ვთქვი, რომ ის, ვინც გაერთიანების წინააღმდეგია, წყალს ასხამს ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ ამაში.

– რას იტყოდით ნაციონალების და „ევროპული საქართველოს“ დაპირისპირებაზე? ღია ომი გამოუცხადეს ერთმანეთს. ეს პროცესი არ აზარალებს ოპოზიციას?

– მე ღიად ვიტყვი, ამის შესახებ ფეისბუქში სპეციალურად არაფერი დავწერე, ვთვლიდი, რომ მე ამაზე მაღლა მინდა ვიყო. არ მინდა ამ კინკლაობასა და ძიძგილაობაში მონაწილეობის მიღება, მით უმეტეს, რომ არც ერთია ჩემი პარტია და არც მეორე.

– ფორმულა – გათიშე და იბატონე ამ ეტაპზე მშვენივრად გამოსდის ბიძინა ივანიშვილს.

აქ ლაპარაკი რაზეა, იცით? შენ თუ შენი თამასა გაქვს გათვლილი იმაზე, თუ ვინ იქნება პირველი ოპოზიციური პარტია, მაშინ შენ არ გაქვს არავითარი სურვილი, შეცვალო ხელისუფლება! შენი თამასა უნდა იყოს ხელისუფლება, შენ ხელისუფლებას უნდა დაეჯახო, მას უნდა მოუგო, ის უნდა დაამარცხო და მოხვიდე ხელისუფლებაში. აქ კი რა ხდება?!

– რა ხდება, ისევ ოპოზიციაში ყოფნა უნდათ?

– ერთმანეთს ეტაკება ორი პოლიტიკური ძალა, თუ ვინ იქნება პირველი ოპოზიციური პარტია. ეს ორივე პარტია ერთი და იგივეა! ვის უბნელებენ ტვინს და ვის უხვევენ თვალებს, ძალიან მაინტერესებს ერთი! მთელი 9 წლის განმავლობაში ეს იყო ერთი გუნდი. ახლა ვითომ რაღაც განსხვავებები აქვთ, მაგრამ დიდი არაფერი.

– ანუ ბოკერიას ჰგონია, რომ სააკაშვილის ლანძღვით დაიწერს ქულებს და სააკაშვილს ჰგონია, რომ ბოკერია მასზე უარესია?

– ვუსმინე მე სააკაშვილს და არაფრით ველოდებოდი მისგან მსგავს განცხადებებს. სააკაშვილი არ არის ჩამოყალიბებული, რა უნდა, ჩამოვა, არ ჩამოვა, ქართველი პოლიტიკოსია თუ უკრაინელი. ძალიან დააბნია მწვავე კითხვებმა.

ვიღაცებს ნამდვილად უნდათ, რომ ის ჩამოვიდეს და თავი შეაკლას აქ ვიღაცებს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ – ადამიანის უსაფრთხოება არის უპირველესი. არავის სჭირდება ნელსონ მანდელა. ამ ორმა პარტიამ თამასა დაწია პლინტუსზე დაბლა. ერთმანეთს ეკინკლავებიან, იმის მაგივრად, რომ გაერთიანდნენ და შექმნან ძალიან ძლიერი ოპოზიცია.

– ბიძინას ხომ არ გაურიგდნენ?

– მაგას როგორ ვიტყვი. თაკომ კი ეძახა, ჩარკვიანმა, გარიგებულები ხართო, მაგრამ სანამ არ გაქვს ხელში მყარი არგუმენტები, ამას ვერავის დააბრალებ. ეს ჭორაობაა.

– ჭორაობაა, მაგრამ ამ ყველაფრით იგებს ბიძინა ივანიშვილი.

– კი ბატონო, მეც მაგას ვამბობ. შენ გინდა თუ არ გინდა, ნებისთ თუ უნებლიეთ, მაინც ბიძინა ივანიშვილის თამაშს თამაშობ.

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილი მზად არის, ხელისუფლება მთლიანად ჩამოიშოროს“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ოპოზიციის წარმომადგენელი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. „ქართული ოცნება“ კიდევ ერთი ვადით შეინარჩუნებს ძალაუფლებას?

– „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო და ამ კამპანიაში აქტიურად არის ბიძინა ივანიშვილი ჩართული, რომ როგორმე შეინარჩუნოს ხელისუფლება. ივანიშვილი თავად დადის რეგიონებში და ყველაფერს აკეთებს არჩევნების მოსაგებად, მაგრამ მას იმდენად ხელისუფლების შენარჩუნება კი არ აინტერესებს, აინტერესებს საკუთარი ქონების გადარჩენა. იმ ქონების, რომელიც თუნდაც 2012 წლის შემდეგ დააგროვა.

ივანიშვილისთვის ხელისუფლებაში ყოფნა ტვირთია, ეს კარგად გამოჩნდა მას შემდეგ, რაც მან პრემიერის პოსტიდან წასვლა გადაწყვიტა. მე მაშინ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. ორ თვეში, რაც გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტად აირჩიეს და ინაუგურაცია მოხდა, ივანიშვილმა პრემიერის პოსტი დატოვა. ამიტომ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილი მზად არის, დღეს ხელისუფლების ტვირთი მთლიანად ჩამოიშოროს და ხელისუფლება გადააბაროს ნებისმიერს, მათ შორის გიგა ბოკერიას. მისთვის მთავარია მისი ქონების დაცვა.

– მან თქვა, რომ მოიგებს ამ არჩევნებს. ასე არ ფიქრობთ?

– ვერ მოიგებს. ეს არის რეალობა. იმ ფონზე, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი ვადით ხელისუფლებაში დარჩენა შეუძლებელია.

„ოცნების“ მმართველობის მერვე წელი დაიწყო და ქვეყანაში გვაქვს უკიდურესი სოციალური გაჭირვება. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა საზღვარგარეთ გარბის ლუკმაპურის საშოვნელად, რომ როგორმე გადარჩეს. თბილისში 40 ათასი ადამიანი ყოველდღიურად უფასო სასადილოში სადილობს. ეს ციფრი კატასტროფაა. ამას ემატება გაუბედურებული ლარი, რომელიც კიდევ უფრო გაუფასურდება იმ გადაწყვეტილებით, რომელიც ხელისუფლებამ მიიღო, ბიუჯეტის გაზრდას ვგულისხმობ. ამ ფონზე როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ხელისუფლებამ მესამე ვადით არჩევნები მოიგოს?! თუმცა, ის ეცდება, ყველა გზით შეინარჩუნოს ძალაუფლება.

– თუ ხელისუფლების შენარჩუნებას აპირებს, მაშინ როგორ ხსნით პროპორციულ არჩევნებზე გადასვლას?

– ბიძინა ივანიშვილს ამ ნაბიჯის გადადგმა მოუწია ცნობილი მოტივით – ჩათრევას ჩაყოლა ჯობია. საარჩევნო კოდექსის ცვლილება



მხოლოდ 2024 წელს უნდა მომხდარიყო და ეს კონსტიტუციაში შავით თეთრზე წერია, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. 20-21 ივნისის გასაყარზე საქართველოს ახალგაზრდობის პროტესტს, სავსებით სამართლიან პროტესტს მოჰყვა ეს დათმობა. ეს იყო პოლიტიკური დათმობა. თუ ივანიშვილი არ გააკეთებდა ამ განცხადებას, მაშინ მას მოუწევდა იძულებით ამის გაკეთება ბევრად უფრო მძიმე ვითარებაში. თუმცა, ნაღმები მაინც არის ჩარჩენილი.

– რას გულისხმობთ?

– როგორმე დაშალოს გაერთიანებული ოპოზიცია და პარლამენტში წვრილ-წვრილი პარტიები შევიდნენ. ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ ამ წვრილ-წვრილ პარტიებთან უფრო კარგად მოილაპარაკებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ იქნება.

– როგორ იქნება?

– 2020 წელს ბიძინა ივანიშვილი დამარცხებას აღიარებს და მეორე დღეს „ქართული ოცნების“ თვითლიკვიდაციაც დაიწყება. „ოცნების“ დღევანდელი წევრები სხვადასხვა პარტიებსა და ფრაქციებში გადანაწილდებიან.

– ანუ მოქალაქეთა კავშირის ბედს უწინასწარმეტყველებთ?

– არა მხოლოდ მოქალაქეთა კავშირის. იყო პარტია აღორძინების კავშირი, რომლის ლიდერიც ასლან აბაშიძე იყო. დღეს საქართველოში ვერც ერთ ადამიანს ვერ ნახავთ, რომელიც ამ პოლიტიკური ძალის წევრი იქნება, ისევე, როგორც მოქალაქეთა კავშირის. ეს პარტიები გაქრნენ, აღარ არსებობენ.

ჩვენ 2012 წელს საქართველოს მოქალაქეებს არ დავპირებივართ, რომ მაკო გომურს გამოვთხრიდით თვალს და მერე მივიღებდით პროპორციულ საარჩევნო სისტემას. არც იმას დავპირებივართ, რომ იგივე პროკურატურა და იგივე სასამართლო იქნებოდა. ოღონდ ამჯერად ის მოსამართლეები უვადოდ გამწესდებოდნენ ბოლო ინსტანციაში, უზენაეს სასამართლოში. ამას ნამდვილად არ დავპირებივართ.

ნახეთ დოკუმენტები და გამოსვლები – „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი ხალხს რას პირდებოდნენ.

ირმა ნადირაშვილი: „პროკურატურამ დიმიტრი გაბუნიას საქმე უნდა გამოიძიოს“

იაგო ნაცვლიშვილი

„ევროპული საქართველოს“ წევრი ირმა ნადირაშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი გაბუნია ნეპოტიზმით არის დაკავებული. ნადირაშვილი ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ პრეზიდენტმა ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად გაბუნიას ბიზნესპარტნიორი გიორგი მიროტაძე დაასახელა, ხოლო შეწყალებების სკანდალის შემდეგ მას განცხადება დააწერინეს, რომ მან გაიწვიოს თავისი კანდიდატურა.

აღნიშნული საქმის დეტალებისა და შეწყალების საქმის სკანდალთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ირმა ნადირაშვილი საუბრობს:

– ისაუბრეთ დიმიტრი გაბუნიას ნეპოტიზმზე და თქვით, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მისი გავლენებით ის ცდილობს ამ ნეპოტიზმს. უფრო კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს?

– კონკრეტული კანდიდატურა წამოაყენეს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად. შემოგვთავაზეს, რომ ეს ადამიანი ყოფილიყო სებ-ის წევრი. ეს მოხდა მაისში, შემდეგ კი აღმოვაჩინეთ, რომ ეს ადამიანი არის დიმიტრი გაბუნიას ბიზნესპარტნიორი მის საადვოკატო კომპანიაში. შესაბამისად, როდესაც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ბიზნესპარტნიორს გვთავაზობენ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად, ეს არის კლასიკური ნეპოტიზმი. ეს ადასტურებს იმას, რომ გაბუნიას აქვს დიდი გავლენები პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. თუ მას შეუძლია, რომ თავისი ბიზნესპარტნიორი გახადოს ეროვნული ბანკის წევრი, ეს ნიშნავს, რომ მისი გავლენები არის საკმაოდ დიდი.

ამიტომ, კიდევ ერთხელ ვაყენებთ საკითხს, რომ თუკი გაბუნია ასე უხეშად ერევა კადრების შერჩევაში, რაც ნამდვილად არ არის მისი პროგრამატივა, რატომ არ შეიძლება, რომ მას გავლენები ჰქონდეს ამ სკანდალური შეწყალების საქმეში და კიდევ ერთხელ ვთვლით, რომ შესაბამისად პროკურატურამ გამოძიება მალე უნდა დაასრულოს და ამ კითხვებს პასუხები გასცეს.

– რეაგირება თუ მოჰყვა მისგან თქვენი ამ განცხადების შემდეგ?

– არ ვიცი თუ რამე რეაგირება მოჰყვა. ერთი რამე ვიცი. ეს არის ის, რომ ბატონი მიროტაძის კანდიდატურის განხილვა, რომელიც ერთ-ერთ კომიტეტში კიდეც განიხილეს და 25 სექტემბერს მან შემოიტანა განცხადება, რომ მისი კანდიდატურა აღარ განვიხილოთ ეროვნული ბანკის წევრად, რაც იმას ნიშნავს, რომ გაბუნიას ირგვლივ ატეხილმა სკანდალმა სასაცილო ვითარებაში ჩააგდო ისინი და არ უნდოდათ, რომ კიდევ ერთი სკანდალის მიზეზი გამხდარიყვნენ, ამიტომ მიროტაძეს ეს განცხადება შემოატანინეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

თამარ ჩხეიძე: „ქართულმა ოცნებამ“ კომპარტიას გადააჭარბა“

„რუსეთთან ურთიერთობაში ისევ მონურ-ქვეშევრდომული სტილია

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.

– სამიოდე თვის წინ „ქართული ოცნება“ რთულ მდგომარეობაში იყო. მას უწევდა თავის მართლება „გავრილოვის ღამეზე“. დღეს, როცა შესრულდა მმართველი პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის 7 წლისთავი, „ოცნების“ ლიდერებისაგან მოვისმინეთ საკუთარი თავის უზომო ქება. ხელისუფლებამ კრიზისი გადააგორა?

– მოვლენები წინ არის და კიდევ ბევრი პროცესი შეიძლება მოხდეს. ამიტომ, გადაჭრით იმის თქმა, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გადააგორა, ნაადრევია. ხელისუფლება უკიდურესად გათავხედებულია. რამდენიმე თვის წინ, ცოტა ხნის განმავლობაში „ქართული ოცნება“, მართლაც, მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს განპირობებული იყო ხალხის დიდი მასის ყოფნით ქუჩაში. საზოგადოება ახლაც საკმაოდ უკმაყოფილოა, მაგრამ ის ხელისუფლებას პრობლემას არ უქმნის.

ამის გამო „ქართული ოცნება“ დიდი ხანია დიდ გულზეა. ხალხი მუდმივად აქციებზე ვერ იქნება ვერც ერთ სახელმწიფოში. ჩვენში პრობლემა ისაა, რომ საზოგადოება ხშირად ექსტრემალურ სიტუაციაშიც არ ინძრევა. საქართველოში ბევრი ისეთი რამე ხდება, რასაც საზოგადოება ხელისუფლებას არ უნდა აბედვინებდეს.

– საზოგადოებას რეალურად შეუძლია ზემოქმედება ხელისუფლებაზე?

– ეს შეუძლია საზოგადოების დიდ რაოდენობას. საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის ორი ბერკეტი არსებობს – მრავალრიცხოვანი ხალხი და დასავლეთის აქტიურობა. ჩვენს საზოგადოებას უმეტესად პასიურობა ახასიათებს. ახალგაზრდული მოძრაობა „სირცხვილია“ ამ მხრივ პოზიტიური გამონაკლისია. ჩვენი საზოგადოება იმითაც გამოირჩევა, რომ არავინ იცის, როდის იფეთქებს. დასავლეთს, ცივილიზებულ სამყაროს ასევე შეუძლია იყოს შემაკავებელი საქართველოს ხელისუფლებისათვის. თუ ორივე პასიური იქნება, ხელისუფლება 1937 წელს მოგვიწყობს.

დასავლეთი გარკვეულ შემაკავებელ როლს ასრულებს. იზოლირებულ კუნძულზე არ ვცხოვრობთ და თავისუფალ სამყაროსთან ვურთიერთობთ. ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოებას რაღაცა ანგარიშს უწევს.

„წარმატებებზე“ მკითხეთ. ამ დღეებში „ოცნებისაგან“ კომიკური განცხადებები მოვისმინეთ. ხელისუფლების თვითკმაყოფილება კომიკურია. „ქართულმა ოცნებამ“ თავის წარმატებებზე ლაპარაკის დროს კომუნისტურ პარტიას გადააჭარბა. ანგარიშის სტილი და ფორმა ზუსტად კომუნისტურია. კომუნისტები ამათზე ნაკლებს იტყუებოდნენ. იქაც არსებობდა სიყალბე, მაგრამ რაც ითქმებოდა სოციალური დაცვის კუთხით, იმაში არ იტყუებოდნენ. „ოცნების“ ტრაბახი უფრო სასაცილოა.

– ხელისუფლებას ოპონენტების მიმართ ანგარიშსწორებაშიც ადანაშაულებენ. „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს, გურამ ჩალაგაშვილს წვრილმან ხულიგნობას ედავებიან. მისი პარტია ამბობს, რომ იგი ივანიშვილის შურისძიების სამიზნეა.

– ფაქტობრივად, ხელისუფლება ამბობს, რომ შეუძლია დააკავოს ნებისმიერი ადამიანი და შეკეროს ნებისმიერი საქმე. ჩალაგაშვილის სასამართლო არ დასრულებულა. კარგია, რომ ამ ეტაპზე გამოუშვეს. ნიკა მელიას შეუზღუდეს თავისუფლება, მაგრამ ციხეში მისი გამომწყვდევა ვერ გაბედეს. ხელისუფლება თავისუფალ ტელევიზიებსაც ებრძვის, მაგრამ მათი დახურვა არ გამოსდის. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტელევიზიების ხელმძღვანელებს წარამარა პროკურატურაში იბარებენ. ალბათ, უნდათ, ხელისუფლების კრიტიკა და ლანძღვა მკაცრად დასჯადი გახდეს.

მაშინ ამაშიც კომუნისტებზე უარესები იქნებიან. უკვე 70-იან წლებში საბჭოთა კავშირში მთავრობის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება იყო.

– თანამედროვე რუსეთში ხელისუფლების შეურაცხყოფა მკაცრად ისჯება. ბოლო წლებში, საქართველოში სხვადასხვა ჯგუფისა და პირისაგან წამოვიდა ინიციატივა ცილისწამებისა და შეურაცხყოფისთვის სასჯელის გამკაცრებაზე.

– ეს მცდელობები კიდევ ექნებათ. ამგვარი წინადადება წამოაყენეს პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა, ასევე „ოცნების“ გარემოცვაში მყოფმა ძალებმა. ამის შესრულება საშინელება იქნება, იმიტომ, რომ გაძნელდება ზღვრის გავლება დანაშაულსა და უდანაშაულობას შორის და დაიწყება რეპრესიები ყველას წინააღმდეგ, ვინც არ მოსწონთ.

– რუსეთთან ურთიერთობაში თუ შეამჩნიეთ ახალი ნოტები?

– რუსეთთან ურთიერთობაში კვლავინდებურად მონურ-ქვეშევრდომული სტილია. ერთი მხრივ, საქართველო უმტკიცებს თავის ერთგულებას რუსეთს, მეორე მხრივ, რუსეთიდან ისმის დამცინავი და თავხედური შეფასებები. რუსეთიდან ვხედავთ ფეხების ბაკუნს. კრემლი ბოლომდე კმაყოფილი არ არის – მისი ქვეშევრდომები აგვიანებენ ყველა დავალების შესრულებას. რუსეთი აგრძელებს ტერიტორიების მიტაცებას და მოუწოდებს საქართველოს, შეეგუოს არსებულ ვითარებას, უკვე მიტაცებულ ტერიტორიებს.

რუსეთს სხვა ამოცანებიც აქვს. მაგალითად, აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის გახსნა.

– პატრიოტთა ალიანსი ატარებს მოსახლეობაში გამოკითხვას სამხედრო მიუმხრობლობის, იგივე ნეიტრალიტეტის თემაზე. მოსკოვი ამითაც დაინტერესებულია?

– რასაკვირველია. ნეიტრალიტეტი ის თემაა, რომელსაც ადვილად წამოეგება გაუთვითცნობიერებელი მოქალაქე. მას ეუბნებიან, რომ ეს საჭიროა მშვიდობისათვის, რომ საქართველო გახდება შვეიცარია. დავუშვათ, შევცვალეთ პოლიტიკა, კანონმდებლობა და ნეიტრალიტეტი გამოვაცხადეთ. ნეიტრალიტეტი საქართველოს რუსეთის აგრესიისაგან ვერ დაიცავს. პირველი რესპუბლიკის დროს ნეიტრალური იყო საქართველო, მაგრამ ამან არ გვიშველა. საქართველოში ნეიტრალიტეტი სჭირდება რუსეთს. კრემლს იმის იმედი აქვს, რომ ამით საქართველოს ჩამოაშორებს დასავლელ პარტნიორებს, რის შემდეგაც გაადვილდება საქართველოს შეყლაპვა. ბევრს გვინდა, რომ დასავლეთის აქტიურობა უფრო დიდი იყოს. 2008 წლის მოვლენების დროსაც გვინდოდა დასავლელი პარტნიორების მეტი ჩართულობა. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველო მათი გადარჩენილია. 2008 წელს რუსეთს თავისი ჯარით გადაწყვეტილი ჰქონდა თბილისში შემოსვლა. იმ მომენტში აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი ბუში ყოველ ნახევარ საათში განცხადებას აკეთებდა. ეს და ამერიკული გემები რომ არა, რუსეთი თბილისში შემოიჭრებოდა და საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლით არ დაკმაყოფილდებოდა. ამიტომ, ნეიტრალიტეტის საკითხის გააქტიურება დიდი ხიფათის შემცველია.

აფხაზეთისა და ცხინვალის დეოკუპაციაზე რუსეთთან დიალოგი გამორიცხულია

გულიკო ბალაძე



რას ნიშნავს ევროსაბჭოში რუსეთის დაბრუნება? აქვს თუ არა რუსეთთან დიალოგს აზრი? „ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.

– ბატონო პეტრე, დღეს საბოლოოდ დადასტურდა, რომ რუსეთს ევროსაბჭოში ხმის უფლება აღუდგინეს იმის მიუხედავად, მის მიმართ გაცემული რეკომენდაციები არ შეუსრულებია, რისთვისაც რუსეთს დაატოვებინეს ევროსაბჭო, არ გამოსწორებულა – რუსეთს ყირიმის ანექსიაზე უარი არ უთქვამს. ასეთ ვითარებაში ევროსაბჭოში რუსეთის დაბრუნება რას ნიშნავს?

– თავისი შედეგებით რუსეთის ევროსაბჭოში დაბრუნება არაფერს ნიშნავს. ევროსაბჭო არ არის ისეთი ორგანო, რომელიც რაღაცას წყვეტს მსოფლიოს მასშტაბით. ევროსაბჭო არ არის გაეროს უშიშროების საბჭო, საიდანაც ვერავინ გააგდებს, მაგრამ ეს მაინც მაჩვენებელია დასავლეთში პოლიტიკური ვითარებისა და სულისკვეთებისა.

– ევროპელებს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები უფრო აინტერესებთ, მაგრამ ამერიკა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს არ ხსნის.

– ამერიკა ძალიან სწორს აკეთებს.

– ევროსაბჭოში რუსეთის დაბრუნება რუსული დიპლომატიის გამარჯვებაა თუ ევროსტრუქტურების სისუსტე?

– ეს არის იმის შედეგი, რაც წლების წინ გამოიკვეთა და დღესაც გრძელდება, ანუ მთელს დასავლეთში დემოკრატიის ხარისხის სწრაფი დაცემის, პოპულისტური პოლიტიკოსების აღზევებისა და შიგნით ევროკავშირში, ნატოს წევრ ქვეყნებში, ავტორიტარული რეჟიმების არსებობის შედეგია.

მეორე მომენტია ის, რაც ამას წინათ მაკრონმა ილაპარაკა, რომ საჭიროა რუსეთთან დიალოგი, მასთან ურთიერთობა და არა მისი იზოლირება და გარიყვა.

– რა მიზანი აქვს მაკრონის განცხადებებს?

– მაკრონი რეალობიდან გამოდის. ვთქვათ, არ ელაპარაკები და გინდა იზოლაციაში მოაქციო, რას მოიტანს ეს? იმას, რომ პუტინი კიდევ უფრო შეეკვრება ჩინეთს, თურქეთთან, ირანთან და ჩრდილო კორეასთან ექნება ურთიერთობა.

– რუსეთთან დიალოგი შედეგს გამოიღებს?

– შედეგს გამოიღებს იმ მხრივ, რომ რუსეთმა კიდევ უარესი არ ქნას. პუტინს რუსეთში შიგნით სიტუაცია ძალიან დაეძაბა, ელიტებში განხეთქილებაა. თუ გახსოვთ, წლების წინ, როდესაც პუტინი სირიის კონფლიქტში არ ერეოდა, მაგრამ ყირიმის ანექსია მოახდინა, მაშინ პუტინი ავსტრალიაში დიდი ოცეულის სამიტს ესწრებოდა, დიდი ოცეულის ქვეყნების ლიდერებმა მას ნამდვილი ოსტრაკიზმი მოუწყვეს, არავინ ეკარებოდა.

ხელი არავინ ჩამოართვა. დილით მარტოს, გარიყულად საუზმობა მოუწია. ტელევიზია აჩვენებდა, ერთ მაგიდასთან ცალკე ერთი კაცი იჯდა გარიყული, თავისთვის მარტო და რაღაცას ჭამდა. ძმიმე კადრები იყო.

– როდესაც დიალოგზეა საუბარი, უნდა გავიხსენოთ ზალკალიანი-ლავროვის შეხვედრა. დიალოგი რუსეთთან და ის დაცინვა, რაც მივიღეთ ამ დიალოგის შემდეგ, თქვენ რისი თქმის საშუალებას გაძლევთ?

– მე მგონი, დაცინვას არ უნდა მივაქციოთ ყურადღება. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები ხედავენ, რომ საქართველოს მართავენ არა ახირებული ადამიანები, რომლებიც დიდ თავის ტკივილს უქმნიან. სააკაშვილს ბოლოს ვაშინგტონშიც და ბრიუსელშიც ეძახდნენ თავის ტკივილს.

– სააკაშვილი აღარ არის, მაგრამ ნაცმოძრაობა და მისი განაყოფები დღევანდელ ხელისუფლებას იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ზალკალიანი ლავროვს ერთი ერთზე შეხვდა.

– ესენი არიან ის ყალბი „პატრიოტები“, რომლებზეც 25 წლის წინ ითქვა, რომ ასეთი „პატრიოტების“ – ნაძირალების თავშესაფარი არის პატრიოტიზმი. მათი ოცნებაა, ბორდერიზაცია უფრო ინტენსიური იყოს, კრემლმა ცხინვალის რეგიონი რუსეთს მიუერთოს. ისინი ამაზე ოცნებობენ, რადგან ეს რომ მოხდეს, აკივლდებიან, ეს ხომ ჩვენს დროს არ ყოფილა, ჩვენ ხომ ეს არ დავუშვით, აი, „ოცნების“ მოღალატე, უნიათო მთავრობა, სადამდე მიიყვანეს საქმე, რუსეთი აგერ თბილისთანაა მოსულიო.

– ე.ი. ევროპელი ლიდერები ფიქრობენ, რომ რუსეთთან დიალოგი უფრო სჯობს, ვიდრე დაპირისპირება და სანქციები. საქართველოსთვის რა სჯობს?

– საქართველოსთვის სჯობს, ის წითელი ხაზები დაიცვას, რომელ წითელ ხაზებსაც რომ გადააბიჯო, რუსეთი იმ დღესვე თუ არა, იმ ღამესვე იმოქმედებს, ჯარებს გადააადგილებს, საითაც მოინდომებს. იტყვის, რომ ნატო მოდის, უნდა შევაკავოთ, დავიცვათ ჩვენი საზღვრებიო.

– ამ შემთხვევაში, მე დიალოგის თვალსაზრისით გეკითხებით.

– დიალოგის თვალსაზრისით, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და პუტინი არასოდეს დაუშვებს ლაპარაკს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსზე, მით უფრო დეოკუპაციაზე. საკითხი დახურულია.

– ზალკალიანმა თქვა, ლავროვს ვუთხარი, რომ აუცილებელია სიტუაციის დეესკალაცია და დეოკუპაციაო.

– რამდენჯერაც უნდა, იმდენჯერ უთხრას. თუნდაც ყოველდღე დაურეკოს და უთხრას, დეოკუპაცია არის აუცილებელიო, რუსეთის პოზიციიდან გამომდინარე, შედეგი მაინც ხომ არ იქნება. ლავროვმა და სხვებმა ეს „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პირდაპირ, ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე თქვეს – ჩვენ საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა თავიდანვე გავაფრთხილეთ, რომ ამ საკითხს არასოდეს განვიხილავთო.

– ასე ეგენი ყველა ხელისუფლებას აფრთხილებენ.

– მათ თქვეს, კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, რომ ამაზე ლაპარაკი არ იქნება. ამიტომ თუ საქართველოს უნდა დიპლომატიური და სხვა ურთიერთობების აღდგენა, მოგვმართოს, შეეგუოს ახალ რეალობასო.

– ამიტომაც ამბობს ოპოზიცია, რომ რუსეთთან დიალოგს აზრი არ აქვს.

– გააჩნია, რისთვის არის დიალოგი.

ირმა ნადირაშვილი: „პროკურატურამ დიმიტრი გაბუნიას საქმე უნდა გამოიძიოს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შემდეგ კი ვნახეთ, რომ ბატონი მიროტაძე დაიბარეს პროკურატურაში და მას კითხვები დაუსვეს ამ შეწყალების საქმესთან დაკავშირებით.

– დიმიტრი გაბუნიამ სკანდალური შეწყალების საქმეზე თქვა, რომ თქვენ გიჩივლეთ სასამართლოში. ელოდებით რაიმე საქმეს თქვენ წინააღმდეგ?

– ამ განცხადებას სერიოზულად არც კი განვიხილავ. არც ვაპირებ ამ განცხადებაზე საუბარს. თუ პოლიტიკური დევნის განხორციელება უნდა ჩემზე ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას და ამას გაბუნიას ხელით აკეთებს, ეგეც არ მადარდებს.

მე უბრალოდ კიდევ ერთხელ მოვითხოვ, თუნდაც ამ ბოლო მაგალითის გამო, რომ პროკურატურამ გასცეს კომპეტენტური პასუხები იმ ეჭვებს, რომელიც არსებობს.

– იმ ვითარებაში, როდესაც პროკურატურა არ იძლევა რეალურ პასუხებს სხვადასხვა კითხვებთან და ეჭვებთან დაკავშირებით, მაშინ რა ბერკეტი რჩება?

– ჯერ ერთი კვირის წინ დაიწყო გამოძიება. ჩვენ გარკვეული პერიოდი დავასახელეთ, ეს იყო ერთთვიანი ვადა და დაველოდებით პროკურატურის შუალედურ შედეგებს. თუ მივხვდებით, რომ დაიბარეს გაბუნია და მისი პარტნიორები პროკურატურაში მხოლოდ საჩვენებლად და დავინახავთ, რომ ეს გამოძიებაც ისე მიმდინარეობს, როგორც სხვა საქმეები, მაშინ სხვანაირად ვიმოქმედებთ.

– აქედან გამომდინარე ვსვამ ამ კითხვას, რომ ვიცით, რაც ხდებოდა სხვა საქმეებთან დაკავშირებით.

– კი ბატონო, გვინახავს ასეთი საქმეები, როცა იწყებენ საქმის ძიებას და შემდეგ თაროზე დებენ. თუ მივხვდებით, რომ ესეც ასეთი საქმეების რიგში გადაიტანეს, მაშინ ჩვენ გვქონდა ჩვენი გეგმა გაცხადებული, რომ ამის შემდეგ ვიმსჯელეთ საპარლამენტო კომისიის შექმნაზე.

– თავის დროზე, როდესაც დააყენეთ კომისიის შექმნა პარლამენტის წინაშე, მის შექმნაზე უარი გითხრეს და პროკურატურამ დაიწყო საქმის ძიება. თუ დადგება ეს საკითხი დღის წესრიგში, ამჟამად დაგთანხმდებიან?

– თავდაპირველად ხორავას საქმეზე მომხდარი მკვლელობის დროსაც უარი გვითხრეს კომისიის შექმნაზე, მაგრამ, გააჩნია გარემოებებს. ამ გარემოებების შემდეგ დაგვთანხმდნენ მის შექმნაზე. თუ პროკურატურის მოქმედებები უმოქმედო იქნება და თუ ვერ მიხვდება საპარლამენტო უმრავლესობა, რომ ასეთი კომისიის შექმნა აუცილებელია, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ პასუხისმგებლობასაც აიღებენ ამ შეწყალების სკანდალურ საქმეებზე. არ შეიძლება, რომ სალომე ზურაბიშვილის ქმედებებს გმობდნენ და შემდეგ საპარლამენტო კომისიის შექმნა არ უნდოდეთ. ამას ექნება თავისი პოლიტიკური ფასი და საპარლამენტო უმრავლესობა ისევე იქნება პასუხისმგებელი, მაგალითად, პოლიციელის მკვლელის გარეთ გამოშვებაზე, როგორც ქალბატონი პრეზიდენტი.

– ანუ ეს გარემოებები მაინც დამოკიდებულია საზოგადოების განწყობებზე?

– რა თქმა უნდა.

ადვოკატი ნაირა ოტიაშვილი დააკავეს

მასთან ერთად დედა-შვილია დაკავებული

თემქაზე მოკლული 20 წლის ანა ნაცვლიშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულის ლადო გრიგალაშვილის ადვოკატი ნაირა ოტიაშვილი 1 ოქტომბერს დააკავეს.

ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ონისე მარგიანის განცხადებით, ადვოკატი სასამართლოს განჩინების საფუძველზე არის დაკავებული.

– ძალიან ბუნდოვანია, აბსოლუტურად გაურკვეველია – მოსამართლის განჩინებით არის დაკავებული, სადაც სავარაუდო დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები არ არის განმარტებული. საუბარია 373-ე მუხლზე, რომელიც გულისხმობს ცრუ დასმენას, ანგარებით, ან პირადი მოტივით. განჩინებაში კონკრეტულად ვინ, რაში დაასმინა, მითითებული არ არის. არადა, აუცილებლად, ვარაუდის დონეზე მაინც უნდა იყოს მითითებული. ამავე დროს არ არის მითითებული, რა იგულისხმება ანგარებასა და პირად მოტივში, – აცხადებს ონისე მარგიანი.

სასამართლოს ნაირა ოტიაშვილის დაკავების შუამდგომლობით ძველი თბილისის პროკურატურამ მიმართა.

გუშინ, 2 ოქტომბერს, ადვოკატის და მასთან ერთად დედა-შვილის დაკავების შესახებ შსს-მ განცხადება გააკეთა.

ინფორმაციაში ნათქვამია, რომ 1958 წელს დაბადებულ ნ.ო.-ს, 1959 წელს დაბადებულ მ.ა.-ს და 1977 წელს დაბადებულ ს.ბ.-ს ბრალი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ჩადენილ ცრუ დასმენაში ედებათ.

დანაშაული 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ცრუ დასმენა განხორციელდა მიმდინარე წლის აპრილში დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ნათესავებს შორის ქონებრივი დავის საფუძველზე წარმოქმნილ ოჯახში ძალადობას ეხებოდა. კერძოდ, ბრალდებულებმა – ს.ბ.-მ და მ.ა.-მ გამოძიებას ცრუ ჩვენება მისცეს და მათივე ოჯახის წევრი ძალადობასა და შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევაში დაადანაშაულეს. აღნიშნული ფაქტი კი დაადასტურა მათმა ადვოკატმა – ნ.ო.-მ.

გამოძიება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ჩადენილ ცრუ დასმენის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, – ნათქვამია ინფორმაციაში.

გუშინვე ადვოკატ ნაირა ოტიაშვილს ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

როგორც ადვოკატი ონისე მარგიანი განმარტავს, წაყენებული ბრალი ისეთივე დაუსაბუთებელია, როგორიც იყო სასამართლოს განჩინება დაკავების შესახებ.

– ჩემი პოზიცია არ შეცვლილა. პირიქით, უფრო გამყარდა. დადგენილება პირის ბრალდების შესახებ აბსოლუტურად უსაფუძვლოდ არის განმარტებული. უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი და არ არსებობს.

მას ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის მესამე ნაწილის ა პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გამორიცხულია, რადგან ეს მუხლი გულისხმობს ცრუ დასმენას, ანუ უნდა არსებობდეს პირდაპირი მხილება. ასეთი პირდაპირი ჩვენება მას არც ამ საქმეში და არც სხვა საქმეში არ მიუცია, – თქვა ადვოკატმა.

აღკვეთის ღონისძიების შესახებ სასამართლო დღეს, 3 ოქტომბერს, იმსჯელებს. სასამართლოზე ადვოკატი მოითხოვს, რომ სასამართლომ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიების არც ერთი ზომა.

ონისე მარგიანს სახელმწიფო უწყებამ მტკიცებულებების სახით გადასცა ასევე დისკები, თუმცა მარგიანი ამბობს, რომ მათ ჯერ არ გასცნობია.

ბრალი დაკავებულ დედა-შვილსაც წარედგინა.

დაკავებულების ადვოკატი კობა ამბარდნიშვილი აცხადებს, რომ საქმე ეხება ქონებრივ დავას ოჯახის წევრების მიმართ.

– ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ოჯახის წევრებთან დავა. ქალბატონმა მემკვიდრეობა მიიღო, რასაც ედავებოდა შვილი და მასზე, ასევე დაზე ახორციელებდა ფიზიკურ ძალადობას. ამის გამო შარშან, სექტემბრის თვეში გამოწერილი იყო შემაკავებელი ორდერი შვილის მიმართ. 2 ეპიზოდი მართლაც არსებობდა ასეთი ფიზიკური ძალადობის, ხოლო მესამე ეპიზოდზე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირები მისულები იყვნენ ადვოკატ ნაირა ოტიაშვილთან. მისულები იყვნენ უძრავი ქონების დავასთან დაკავშირებით. სახელმწიფო ბრალდებამ კი ჩათვალა, რომ იმ დღეს არ ყოფილან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები ადვოკატთან და აღნიშნული ფაქტი მიიჩნია ცრუ დასმენად.

გადმომცეს სათვალთვალო კამერების ჩანაწერები. ეს არის ჩანაწერები, სადაც ჩანს, რომ ვითომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები იმ დღეს ადვოკატთან არ ყოფილან, მაგრამ მე დავათვალიერებ ამ კადრებს და შესაძლოა ექსპერტიზაზე გადავცე მისი იდენტობის დასადგენად, – განაცხადა ადვოკატმა.

გოგა წურწუმიამ ციხეში თავი ჩამოიხრჩო



ციხის უფროსი მოხსნეს

ძმის მკვლელობაში ბრალდებულმა პატიმარმა, ქუთაისის სასჯელაღსრულების მეორე დაწესებულებაში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, გიორგი წურწუმიამ 2019 წლის 1 ოქტომბერს, 16:28 სთ-ზე, პენიტენციურ დაწესებულებაში საკნის სარკმლის ცხაურზე, ზეწრის გამოყენებით თავი ჩამოიკიდა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, დაწესებულების თანამშრომლების მიერ გამოძახებული იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და პარალელურად პენიტენციური დაწესებულების მედპერსონალის მიერ დაიწყო სარეანიმაციო ღონისძიებები.

სასწრაფო დახმარების ბრიგადა დაწესებულებაში 17:30 სთ-ზე მივიდა, მაგრამ მიუხედავად მედპერსონალის მცდელობისა, 17:53 სთ-ზე დაფიქსირდა ბრალდებულის გარდაცვალება.

მომხდარის შესახებ ეცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით (სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის, ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის შეუსრულებლობა, ან არაჯეროვნად შესრულება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა) და ამავე კოდექსის 115-ე მუხლის პირველი ნაწილით (თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა). ამჟამად საქმეზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები ტარდება.

გიორგი წურწუმია 28 სექტემბერს ძმის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს, მას წინასწარი ორთვიანი პატიმრობა ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ გუშინ მიუსაჯა.

გუშინ, 2 ოქტომბერს, ქუთაისის მე-2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორი თანამდებობიდან გათავისუფლდა.

ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

წულუკიანის თქმით, საქმეზე ძირითადი მტკიცებულებები უკვე შეგროვებულია და ახლა გამოძიება ექსპერტიზის დასკვნას ელოდება.

– იმედი მაქვს, ექსპერტიზის დასკვნა რამდენიმე დღეში იქნება და, რა თქმა უნდა, ჩვენ შევძლებთ ვისაუბროთ იმაზე, შესაძლებელი იყო თუ არა თვითმკვლელობის თავიდან აცილება და ხომ არ იკვეთება, მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქუთაისის პენიტენციური დაწესებულების რომელიმე თანამშრომლის მიმართ, – განაცხადა მინისტრმა წულუკიანმა.

დათო პატურაშვილს ვლადიმერ ოქრომჭედლიძის და ოლეგ შუშანაშვილის მკვლელობისთვის 20 წელი მიესაჯა

ორი პირის განზრახ მკვლელობასა და ერთი პირის დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ დათო პატურაშვილს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ორი პირის განზრახ მკვლელობისთვის და სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, ერთი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის ბრალდებული დათო პატურაშვილი დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 3 იანვარს, დაბა თიანეთში, დათო პატურაშვილი, წარსულში არსებული უთანხმოების გამო, შურისძიების მოტივით, ოლეგ შუშანაშვილის და ვლადიმერ ოქრომჭედლიძის განზრახ მოკვლის მიზნით, ოლეგ შუშანაშვილის საცხოვრებელი სახლის ეზოში მივიდა და დანით ვლადიმერ ოქრომჭედლიძეს გულმკერდის არეში ჭრილობა მიაყენა, რის შედეგად ვლადიმერ ოქრომჭედლიძე ადგილზე გარდაიცვალა.

დათო პატურაშვილმა, ჩადენილი დანაშაულის დაფარვის და ოლეგ შუშანაშვილის მკვლელობის გაადვილების მიზნით, იქვე მყოფ ნუგზარ აბრამიშვილს გადაჭრილი გლუვლულიანი სანადირო თოფიდან მხრის, ხოლო ოლეგ შუშანაშვილს სახის არეში ესროლა.

მიყენებული დაზიანების შედეგად ოლეგ შუშანაშვილი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დათო პატურაშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა დათო პატურაშვილი 2019 წლის 7 იანვარს დაიკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ორი პირის განზრახ მკვლელობა, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით ერთი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დათო პატურაშვილი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 20 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საფრანგეთის ციხეში 23 წლის ნიკა კოშაძე გარდაიცვალა

32 წლის ჯაბა სანიკიძეს 2 თვეა ეძებენ

საფრანგეთის ციხეში 23 წლის ნიკა კოშაძე გარდაიცვალა ხოლო 32 წლის ჯაბა სანიკიძეს უკვე 2 თვეა ეძებენ.

23 წლის ბიჭის დაღუპვის ოფიციალურ ვერსიად თვითმკვლელობა სახელდება, თუმცა, თბილისში გადმოსვენებულ ცხედარზე სამხარაულის ექსპერტიზამ სუიციდის კვალი ვერ იპოვა.

ნიუპოსტის ცნობით, ოჯახს თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერა, რადგან 23 წლის ბიჭი, რომელიც სასჯელს ქურდობის მცდელობისთვის იხდიდა, ციხეს 2 კვირაში ტოვებდა.

ნიკა კოშაძის დედა დარწმუნებულია, რომ მისი შვილი ციხეში გარჩევას ემსხვერპლა და შემდეგ სუიციდის ინსცენირება მოახდინეს.

საფრანგეთის ციხეში სასჯელს იხდიდა კიდევ ერთი ქართველი, 32 წლის ჯაბა სანიკიძე, რომელსაც ოჯახი ორი თვეა ეძებს.

– ველოდებით დღემდე და პასუხი არ არის. მხოლოდ გვეუბნებიან, ცუდი რომ იყოს, პირველი ჩვენ გავიგებდითო. ცუდი როცა არის, ეს არის ადამიანის სიკვდილი. ვეუბნები საკონსულოს წარმომადგენლებს, რომ ჩააკითხონ და საქმეზე მეტი ინფორმაცია მქონდეს, – აღნიშნა ჯაბა სანიკიძის დედამ.

ოქრუაშვილის დაცვის წევრი პატიმრობაში დარჩა

თბილისის საქალაქო სასამართლომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრის, კობა კოშაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ძალაში დატოვა.

გუშინ, 2 ოქტომბერს, სხდომაზე კოშაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გადაისინჯა. პროცესს კობა კოშაძეც ესწრებოდა.

როგორც სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ალექსანდრე ჩხეიძემ განაცხადა, არ არსებობს ახალი გარემოებები იმისთვის, რომ კობა კოშაძის მიმართ გამოყენებული აღკვეთი ღონისძიება პატიმრობა უფრო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეიცვალოს.

მისი თქმით, კოშაძეს ბრალად ედება მძიმე კატეგორიის დანაშაული, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 7-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. შესაბამისად, თავისუფლების პირობებში კოშაძე შესაძლოა, მიმალვას შეეცადოს, რითაც გამოძიებას ხელი შეეშლება.

ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა კი განაცხადა, რომ კობა კოშაძის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არ არსებობს. არც მიმალვის საფრთხე არსებობს, რადგან რამდენიმე წელია, კოშაძეს საზღვრის კვეთა არ უფიქსირდება.

ადვოკატმა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომ აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა 10.000 ლარიანი გირაოთი შეეცვალა, მაგრამ აღნიშნული შუამდგომლობა მოსამართლემ არ გაითვალისწინა და კობა კოშაძე კვლავ პატიმრობაში დატოვა.

ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრ კობა კოშაძეს ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავებიან.

სუსმა კომპანია „ტ და გ“-ს დირექტორი ტარიელ ბ. დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით სხვისი ნივთის თაღლითურად დაუფლებისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე შპს „ტ და გ“-ს დამფუძნებელი და დირექტორი ტარიელ ბ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ შპს „ტ და გ“ აწარმოებდა რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაციხე-კაცხის საავტომობილო გზის ერთ-ერთი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

„კომპანიის დირექტორმა და დამფუძნებელმა ტარიელ ბ.-მ არასრულყოფილად შეასრულა საავტომობილო გზების დეპარტამენტთან დადებული ხელშეკრულების პირობები და მიღებაჩაბარების აქტებში ყალბი მონაცემების შეტანით მოტყუებით დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ დიდი ოდენობით თანხებს“ – აღნიშნულია სუს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლებისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს (180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

უკრაინა დონბასისთვის განსაკუთრებულ სტატუსს დათანხმდა

მინსკში საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. მთავარ თემას ე.წ. შტაინმაიერის ფორმულა წარმოადგენდა. უკრაინული დელეგაციის ხელმძღვანელმა ლეონიდ კუჩმამ შტაინმაიერის ფორმულის ამოქმედებას ხელი მოაწერა. ამრიგად უკრაინა დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას დათანხმდა.

ვლადიმერ ზელენსკიმ მინსკის შეხვედრის დამთავრების შემდეგ კიევში სასწრაფო ბრიფინგი გამართა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ არჩევნები დონბასში უკრაინული კონსტიტუციით და უკრაინული კანონებით ჩატარდება.

-– ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნების დროს დონბასში არც ერთი უცხო ქვეყნის ჯარისკაცი არ უნდა იყოს! საზღვარიც ჩვენს კონტროლქვეშ მოექცეს, – თქვა ზელენსკიმ.

ჩრდილოეთ კორეამ ამოუცნობი ჭურვი გაუშვა

ჩრდილოეთ კორეამ გუშინ, 2 ოქტომბერს, კიდევ ერთი ამოუცნობი ჭურვი გაუშვა.

სამხრეთ კორეის გაერთიანებული შტაბის ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეამ ამოუცნობი ჭურვი ვონსანიდან აღმოსავლეთით, ზღვის მიმართულებით გაუშვა.

იაპონიის სანაპირო დაცვის მიერ გავრცელებულ განცხადებაში კი აღნიშნულია, რომ ჩრდილოეთ კორეამ რაკეტა გაუშვა, ხომალდებს ყურადღების გამოჩენისკენ მოუწოდა და გააფრთხილა, რომ არანაირ ნარჩენებს არ მიუახლოვდნენ.

განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს იაპონიის მთავრობის პრეს-სპიკერი იოშიჰიდე შუგა, რომელიც აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კორეამ არა ერთი, არამედ ორი რაკეტა გაუშვა და ისინი ზღვაში იმ ტერიტორიაზე დაეშვნენ, რომელიც იაპონიის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონას განეკუთვნება.

1 ოქტომბერს ფხენიანმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან „სამუშაო დონის მოლაპარაკებების განახლებაზე შეთანხმდნენ“ და ამ შეთანხმების თანახმად, პირველი შეხვედრა 5 ოქტომბერს გაიმართება.

ჰასან რუჰანი: „მაკრონის გეგმა ირანისთვის მისაღებია“

საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის მიერ აშშ-სა და ირანისთვის წარდგენილი მოლაპარაკებების გეგმა ისლამური რესპუბლიკისთვის „ფართოდ მისაღებია“ – ამის შესახებ ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ირანის პრეზიდენტის განმარტებით, გეგმაში ხაზგასმულია, რომ ირანი უარს იტყვის ბირთვულ შეიარაღებაზე და ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფას, აშშ კი მას ყველა სანქციას გაუუქმებს და ირანს ნავთობის გაყიდვის განახლების შესაძლებლობა მიეცემა, თუმცა პრეზიდენტი დონალდ ტრამპი საპირისპიროს აცხადებს.

– აშშ-ის პრეზიდენტმა ორჯერ, ერთხელ გაეროში სიტყვით გამოსვლისას და მეორედ ამის შემდეგ გასაგებად განაცხადა, რომ მათ სანქციების გამკაცრება სურთ. ასე რომ, რომელი ნაწილი უნდა დავიჯეროთ? უნდა დავიჯეროთ თქვენი სიტყვები, რომ შეერთებული შტატები მზადაა, თუ აშშ-ის პრეზიდენტის, რომელმაც 24 საათის განმავლობაში ორჯერ თქვა, რომ მათ სანქციების გამკაცრება სურთ? – განაცხადა რუჰანიმ და დასძინა, რომ ამ კითხვაზე „ევროპელ მეგობრებს პასუხი არ ჰქონდათ.“

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მოდური მაღაზიის ქუჩის ეკრანზე ცხრა საათი პორნოს აჩვენებდნენ

ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მაღაზიის ქუჩაში დადგმულ ეკრანზე მთელი ღამე პორნოგრაფიული რგოლები გადიოდა.

უცნობმა ჰაკერებმა იაპონური კომპანიის უსაფრთხოების სისტემა გატეხეს, რის შედეგადაც ცხრა საათის განმავლობაში ეკრანზე სარეკლამო კამპანიების ნაცვლად პორნოს ჩვენება მიმდინარეობდა. მაღაზიის თანამშრომლებმა მისი გამორთვა მხოლოდ მეორე დღეს, დილით შეძლეს.

– სრულიად უადგილო და შეურაცხმყოფელია, ბევრი შოკირებული დარჩა, ნაწილი კი, უბრალოდ, ჩერდებოდა და უყურებდა, – განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

მომხდარის შემდეგ კომპანიამ ბოდიში მოუხადა ყველას, ვინც უნებურად პორნოს მაყურებლის როლში აღმოჩნდა და განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მომავალში მათი პროგრამული უზრუნველყოფა უფრო მეტად დაცული გახდეს.

ამ დროისთვის ინციდენტში გარკვევას პოლიცია ცდილობს.

წყვილი სექსის დროს აივნიდან გადავარდა

ეკვადორში სახლის მესამე სართულის აივნიდან სექსით დაკავებული წყვილი გადავარდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

ამ ინციდენტის შედეგად ორივე დაიღუპა. 28 წლის ქალის და მისი 35 წლის პარტნიორის ცხედრები სახლის ახლოს ტერასაზე მეზობელმა აღმოაჩინა. ის ქუჩაში მას შემდეგ გამოვარდა, როდესაც დაცემის ხმა გაიგონა.

პოლიციამ მომხდარი ინციდენტის გარემოებების გამოძიება დაიწყო.

ახლად გამომცხვარი მილიონერი ტრეილერში ცხოვრებას და ტრაქტორისტობას აგრძელებს

ამერიკის მენის შტატის მცხოვრებმა ორჯერ მოხსნა ჯეკპოტი და მილიონერი გახდა, თუმცა კვლავაც ტრაქტორისტად მუშაობას აგრძელებს.

მიმდინარე წლის მაისში 65 წლის ტრაქტორისტმა ბობი სტიუარტმა ლატარიაში მილიონი დოლარი მოიგო. ოთხი თვის შემდეგ მან ისევ იყიდა ლატარიის ბილეთი და ამჯერად მისმა მოგებამ 100 ათასი დოლარი შეადგინა.

მიუხედავად ასეთი მსხვილი მოგებებისა, სტიუარტი საცხოვრებლად დასახლება კენებანკპორტში თავის ძველ ტრეილერში დარჩა და ასევე ტრაქტორისტად მუშაობასაც აგრძელებს.

– დიახ, პრინციპში არაფერი შეცვლილა, – ამტკიცებს ლატარიის გამარჯვებული, – ზუსტად იგივეს ვაკეთებ ახლა, რითიც ადრე ვიყავი დაკავებული.

მისი თქმით, თავისი პირველი ფულადი მოგება, გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, მხოლოდ ერთი კვირის მერე გამოიტანა. მოგებულ დიდ თანხას ის საერთოდ არ შეუცვლია. საღამოობით ის ისევ იაფფასიან კაფეში სადილობს.

– 10,99 დოლარი ჰამბურგერში ან ჰოთდოგი კარტოფილი ფრით, სხვათა შორის, საკმაოდ დიდი ულუფაა, – აღნიშნა სტიუარტმა.

ახლად გამომცხვარ მილიონერს ფულით ახალი ავტომობილის, სახლის ან მდიდრულ მოგზაურობაში ხარჯვა არ დაუწყია. მან ასევე უარი განაცხადა ადვოკატების და ფინანსისტების კონსულტაციაზე, რომლებიც სიმდიდრის ჭკვიანურად გამოყენებაში ეხმარებიან კლიენტებს.



– რისთვის უნდა დავიქირავო, ეს ბიჭები? – უკვირს მამაკაცს.

სტიუარტმა მოგებული თანხის ნაწილი სამ შვილს გაუნაწილა და ხაზგასმით განაცხადა, რომ მათ შეუძლიათ ეს ფული იმაზე დახარჯონ, რაც თავად მოესურვებათ. აღსანიშნავია, რომ მისმა ერთ-ერთმა შვილმა გრეგმა ერთხელ თავადაც გაიმარჯვა ლატარიაში. მისმა მოგებამ მაშინ 250 ათასი დოლარი შეადგინა.

სტიუარტს ძმამ ახალი ტრეილერის აგება შესთავაზა, თუმცა ამაზეც უარი მიიღო და განმარტა, რომ მას ასეც ყველაფერი აწყობს.

ტახმა კარაოკე-კლუბი დაარბია

ჩინეთის ხეილუნცზიანის პროვინციის ქალაქ შუანიაშანში 143 კილოგრამიანმა ტახმა კარაოკე-კლუბი დაარბია.

ცხოველმა იმით ისარგებლა, რომ შესასვლელი კარი დაკეტილი არ იყო და შენობაში შეიჭრა. ის გაქანდა, ბარის დახლს დაეჯახა და დაამტვრია, შემდეგ ერთ-ერთ ნომერში შევარდა და იქ მყოფი კლიენტები გამოყარა. სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ დარბის დერეფნებში ტახი და იქ მყოფებს აშინებს.

კლუბის თანამშრომლებმა ტახის ერთ-ერთ ოთახში შემწყვდევა და იქ მისი ჩაკეტვა მოახერხეს, რის შემდეგაც პოლიცია გამოიძახეს. ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა ცხოველი მოკლეს.

– ხელმძღვანელობისგან ინსტრუქციების მიღების შემდეგ ტახის მოსაკლავად სნაიპერული შაშხანა გამოვიყენეთ, – განაცხადა სამართალდამცავი ორგანოების ერთ-ერთმა თანამშრომელმა, – სამჯერ ვესროლეთ, სანამ მის მოკვლას მოვახერხებდით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შავი დათვი მამაკაცს თავს დაესხა

ამერიკის კონეკტიკუტის შტატში შავი დათვი, რომელიც ასევე ბარიბალის სახელითაცაა ცნობილი, მამაკაცს თავს დაესხა.

მტაცებელი ქალაქ ნიუთაუნის 38 წლის მკვიდრს თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ის ტბა ზოარის რაიონში სალაშქროდ იმყოფებოდა. დათვმა მამაკაცი ძირს დააგდო, დაჭრა, შემდეგ კი ტყეში გაიქცა. დაშავებულმა სახიფათო ადგილის დატოვება დამოუკიდებლად მოახერხა.

დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო კონეკტიკუტის ბუნების დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა თავდასხმის ადგილის რაიონში ხაფანგები დადგეს და მტაცებლის ძებნას შეუდგნენ.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

გია ცეცაძის გუნდი შვეიცარიასთან სათამაშოდ დაირაზმა

საქართველოს 21-წლამდე ნაკრები ევრო 2021-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე შეხვედრას სტუმრად შვეიცარიის 21-წლამდე ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. გია ცეცაძის გუნდი უახლოესი მატჩისთვის მზადებას 7 ოქტომბერს თბილისში დაიწყებს და შვეიცარიაში 10 ოქტომბერს გაემგზავრება, ხოლო მატჩი 11 ოქტომბერს, ქალაქ ვინთერთურის, შუტცენვიზეს სტადიონზე გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 21-წლამდე ნაკრების ევრო 2021-ის საკვალიფიკაციო ეტაპის საწყისი 2 შეხვედრა მოიგო და მე-2 ჯგუფს 6 ქულით ლიდერობს. ასეთი დასაწყისი ჩვენი ახალგაზრდებიდან არ გვახსენდება. მართალია, მეტოქეები არცთუ ძლიერი ჰყავდა, მაგრამ სხვა თამაშებმა გვიჩვენა, რომ ცეცაძის გუნდმა მინიმუმ მე-3 ადგილისთვის უნდა იბრძოლოს, ხოლო თუ მოინდომებს და ცოტა გაუმართლებს კიდეც, ჯგუფის საუკეთესო 2 გუნდშიც შეუძლია მოხვედრა...

ევრო 2021-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე მატჩისთვის 21-წლამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, გია ცეცაძემ 23 ფეხბურთელი გამოიძახა.

მეკარეები: ლუკა გუგეშაშვილი (გრანადა, ესპანეთი), გიორგი მამარდაშვილი (რუსთავი), გიორგი ჩოჩიშვილი (დილა);

მცველები: ილია ბერიაშვილი, თორნიკე ძოწენიძე (ორივე თელავი), ლუკა ლოჩოშვილი (ჟილინა, სლოვაკეთი), ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (ლოკომოტივი), დავით კობოური (დინამო თბ), ლაშა უგრეხელიძე (სიონი), ლევან ხარაბაძე (ციურიხი, შვეიცარია), ლუკა ლაკვეხელიანი, ნიკა მალი (ორივე საბურთალო);

ნახევარმცველები: პაატა კიტეიშვილი, ლუკა სილაგაძე (ორივე რუსთავი), დავით სამურკასოვი (ლოკომოტივი), გიორგი კუცია (დილა), ნიკა ნინუა (დინამო თბ);

თავდამსხმელები: ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი), ირაკლი ბუღრიძე (ბეერსხოტი, ბელგია), გიორგი არაბიძე (ადანასპორი, თურქეთი), ნუგზარ სპანდერაშვილი (დილა), გიორგი კოხრეიძე (საბურთალო), ბექა ქავთარაძე (რუსთავი).

საკალათბურთო სეზონს დუდუ დადიანის მემორიალი გახსნის

საქართველოში საკალათბურთო სეზონი 5 ოქტომბერს დუდუ დადიანის მემორიალით გაიხსნება. ტრაგიკულად დაღუპული საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ხსოვნის ტურნირი 2002 წლიდან იმართება და წლეულს ის მე-18 გათამაშდება. ტურნირში სუპერლიგის 9 გუნდი იასპარეზებს, რომლებიც 3 ჯგუფში გადანაწილდნენ:

ა ჯგუფი: ქუთაისი, ოლიმპი, თსუ;

ბ ჯგუფი: რუსთავი, კაკტუსი, დინამო;

გ ჯგუფი: ბათუმი, ვერა, ტიტები;

გუნდები ჯგუფებში ერთ წრეს ითამაშებენ, რის შემდეგაც პირველ ადგილზე გასულები ნახევარფინალში გავლენ. მე-4 გუნდი, რომელიც ნახევარფინალს შეავსებს, საუკეთესო მეორეადგილოსანი იქნება. დებულების თანახმად, ერთ ჯგუფში მყოფი გუნდები ნახევარფინალში ერთმანეთს არ შეხვდებიან.

ჯგუფური ეტაპის თამაშები გაიმართება 5, 6 და 7 ოქტომბერს. ნახევარფინალები 8-ში, ხოლო ფინალი 9 ოქტომბერსაა დანიშნული.

დუდუ დადიანის მემორიალის ყველა შეხვედრა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ჩატარდება.

ბაიერნმა ლონდონში შოუ დადგა, რეალს ისევ უჭირს

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მე-2 ტურის 8 მატჩი. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ საინტერესო და სენსაციური შედეგები დაფიქსირდა.

ა ჯგუფი

რეალი-ბრიუგე 2:2

მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ

0:1, 0:2 დენისი (9, 39), 1:2 რამოსი (56), 2:2 კაზემირო (85)

გაძევება: ვორმერი (84)

მადრიდის რეალმა ბრიუგეს უმასპინძლა და ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ მე-2 მატჩში დარჩა მოუგებელი.

შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა. არადა, იყო შანსი, რეალი სულაც უქულოდ დარჩენილიყო.

ბრიუგე დენისის დუბლით 39-ე წუთისთვის 2 ბურთით იგებდა. თუმცა, მე-2 ტაიმში ჯერ სერხიო რამოსმა გაიტანა, ხოლო მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე კაზემირომ მადრიდელებს ქულა მოუტანა.

გალათასარაი-პსჟ 0:1

სტამბული. ტელეჯომი

0:1 იკარდი (52)

ჯგუფის მე-2 მატჩი თურქეთში გაიმართა, სადაც გალათასარაის პსჟ ესტუმრა და 1:0 დაამარცხა.

აღსანიშნავია, რომ ახალი გუნდის მაისურით პირველი გოლი გაიტანა მაურო იკარდიმ და ფრანგებმა 3 ქულა ჩაიწერეს.

ბ ჯგუფი

ტოტენჰემი-ბაიერნი 2:7

ლონდონი. ტოტენჰემ ჰოთსპური

1:0 სონი (12), 1:1 კიმიჰი (15), 1:2 ლევანდოვსკი (45), 1:3, 1:4 გნაბრი (53, 55), 2:4 კეინი (61პ), 2:5 გნაბრი (83), 2:6 ლევანდოვსკი (87), 2:7 გნაბრი (88)

დღის მთავარი შეხვედრა ლონდონში შედგა, სადაც ტოტენჰემმა ბაიერნს უმასპინძლა და 2:7 დამარცხდა.

ანგარიში მე-12 წუთზე სონმა გახსნა, რომელმაც სისოკოსგან მშვენიერი პასი მიიღო და ძლიერი დარტყმით გაუტანა ნოიერს. ამის შემდეგ ბაიერნი დაეუფლა უპირატესობას, რაც ტაბლოზე აისახა. 3 წუთში კიმიხმა საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა და ანგარიში გათანაბრდა. ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ლევანდოვსკის ჯერი დადგა – პოლონელი ვერტონგენს ბრწყინვალე ფინტით გასცდა, შემდეგ ბურთი დაკარგა, თუმცა მალევე დაიბრუნა და ძლიერი დარტყმით შეაგდო.

მე-2 ტაიმის დასაწყისში სერჟ გნაბრიმ 2 გოლი გაიტანა. 61-ე წუთზე ბაიერნის კარში დანიშნული პენალტი კეინმა გოლად აქცია. ამის შემდეგ ფეხბურთს მხოლოდ ბაიერნი თამაშობდა. სერჟ გნაბრიმ კიდევ 2 გოლი გაიტანა, ერთიც კი, ლევანდოვსკიმ შეაგდო და ტოტენჰემი საკუთარ არენაზე შერცხვა...

ცრვენა ზვეზდა-ოლიმპიაკოსი 3:1

ბელგრადი. ჩაიო მიტიჩი

0:1 სემედო (37), 1:1 ვულიჩი (62), 2:1 მილუნოვიჩი (87), 3:1 ბოაკიე (90)

გაძევება: ბენზია (57, ოლიმპიაკოსი)

ამავე ჯგუფში ცრვენა ზვეზდა ოლიმპიაკოსს დაუხვდა და 3:1 დაამარცხა.

არადა, ანგარიში სტუმართა მცველმა რუბენ სემედომ გახსნა და საათზე მეტ ხანს ოლიმპიაკოსი იგებდა, მაგრამ დარჩენილ დროში სერბებმა იმძლავრეს და 3 გოლი გაიტანეს. ამაში ხელი მეტოქის მცველმა ბენზიამაც შეუწყო, რომელმაც უხეშობის გამო ვადაზე ადრე დასტოვა მოედანი. სერბთა მხრიდან გოლები ვულიჩმა, მილუნოვიჩმა და ბოაკიემ გაიტანეს.

გ ჯგუფი

მანჩესტერ სიტი-დინამო (ზ) 2:0

მანჩესტერი. ეტიჰადი

1:0 სტერლინგი (66), 2:0 ფოდენი (90)

მანჩესტერ სიტიმ ზაგრების დინამოს უმასპინძლა და 2:0 მოუგო. მთელი მატჩის განმავლობაში „ქალაქელები“ დიდ უპირატესობას ფლობდნენ – ბურთის ფლობა (73%), კუთხურები (10-1), კარში დარტყმები (6:1).

გოლები რაჰიმ სტერლინგისა და ფილიპ ფოდენის ანგარიშზეა. ამ უკანასკნელმა ჩემპიონთა ლიგაში სულაც პირველი შეხვედრა ჩაატარა.

ატალანტა-შახტარი 1:2

მილანი. სან სიროო

1:0 საპატა (28), 1:1 მორაესი (41), 1:2 სოლომონი (90)

კვლავ უქულოდაა ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტი ატალანტა, რომელმაც ბერგამოს ნაცვლად მილანში უმასპინძლა შახტარს და 1:2 დამარცხდა.

იტალიელები ზაპატას გოლით იგებდნენ, თუმცა დონეცკელთა მხრიდან ჟუნიორ მორაეშმა და სოლომონმა გაიტანეს და გუნდს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანეს.

აქვე გეტყვით, რომ უკრაინელთა ქართველი ლეგიონერი დავით ხოჭოლავა ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა და შესაბამისად, განაცხადს მიღმა დარჩა.

დ ჯგუფი

იუვენტუსი-ლევერკუზენი 3:0

ტურინი. აღიანს სტადიუმი

1:0 იგუაინი (17), 2:0 ბერნარდესკი (61), 3:0 რონალდო (88)

ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა ტურინის იუვენტუსმა ბაიერს უმასპინძლა და ყოველგვარი პრობლემების გარეშე 3:0 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ლევერკუზენს მთელი მატჩის განმავლობაში კარში არ დაურტყამს.

ბიანკონერიდან თავი გონსალო იგუაინმა, ფედერიკო ბერნარდესკიმ და კრიშტიანუ რონალდუმ გამოიჩინეს.

ჰო, რონალდუმ ჩემპიონთა ლიგაზე 102-ე გამარჯვება იზეიმა, კასილიასს გადაასწრო და რეკორდსმენი გახდა. პორტუგალიელი 127 გოლით ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირია – მეორეადგილოსანი მესის ანგარიშზე 112 გოლია.

ლოკომოტივი-ატლეტიკო 0:2

მოსკოვი. ჩჯდ არენა

0:1 ფელიში (48), 0:2 პარტი (58)

პირველ ტურში სენსაციის მომხდენმა მოსკოვის ლოკომოტივმა ამჯერად იგივე ვერ შეძლო. რკინიგზელები საკუთარ მოედანზე ატლეტიკოს დაუხვდნენ და, როგორც მოსალოდნელი იყო, როხიბლანკომ 3 ქულა აიღო. მადრიდელთა გულშემატკივრები ტომას პარტეიმ და ჟოაო ფელიშმა თითო გოლით გაახარეს.

რუსთა მხრიდან საბა კვირკველიამ 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

საქართველოს თასზე ნახევარფინალისტები დაწყვილდნენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ ნახევარფინალში ეროვნული ლიგის 3 გუნდთან ერთად, ლიგა 4-ის წარმომადგენელი საგარეჯოს გარეჯია გასული.

კენჭისყრის შედეგად საგარეჯოს ფინალში გასვლის შანსიც აქვს, რადგან საკუთარ მოედანზე თბილისის ლოკომოტივს დაუპირისპირდება. მართალია, წყვილის ფავორიტი „რკინიგზელები“ არიან, მაგრამ ერთი გადამწყვეტი მატჩის ჩატარება საგარეჯოელებს ძალუძთ.

მე-2 წყვილი თბილისის საბურთალომ და ქუთაისის ტორპედომ შეადგინეს – მატჩი დედაქალაქში გაიმართება.

საქართველოს თასის ფინალისტები 23 ოქტომბერს გაირკვევა.

შევჩენკო მილანს პირობებს უთანხმებს

უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი შევჩენკომ მილანის ჩაბარებაზე თანხმობა განაცხადა. შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის როსონერის მარკო ჯამპაოლო წვრთნის, მაგრამ გუნდს საქმეები არცთუ კარგად მიდის და მილანური კლუბის ხელმძღვანელობა მწვრთნელის შეცვლაზე დაფიქრდა.

იტალიური მედიის ცნობით, შევჩენკომ კლუბის სპორტულ დირექტორ პაოლო მალდინისთან შეხვედრისას 2 პირობა წამოაყენა. შევჩენკომ განაცხადა, რომ მზადაა, მილანში მუშაობას უკრაინის ნაკრების ლიეტუვასა და პორტუგალიასთან ევრო 2020-ის შესარჩევი მატჩების შემდეგ შეუდგეს. უკრაინელმა სპეციალისტმა ასევე თქვა, რომ უკრაინის ნაკრებში მუშაობას პარალელურად შეითავსებს.

შევჩენკო ახლახან გახდა 43 წლის. უკრაინელს საფეხბურთო კარიერის საუკეთესო ნაწილი სწორედ მილანში აქვს გატარებული. მის პერიოდში როსონერიმ მოიგო ჩემპიონთა ლიგა და უკრაინელმა ოქროს ბურთიც ჩაიბარა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 2. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 3. ვარსკვლავთა მკვლევარი; 4. მონასტერი ქსნის ხეობაში; 5. საქორწილო მარშის ავტორი გერმანელი კომპოზიტორი; 10. დაბალი ხარისხის შაქარი; 11. გრამატიკის ნაწილი; 12. მდინარე ერევანში; 13. საქართველოს ეროვნული გმირი; 16. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 17. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი; 19. კუთხე საქართველოში; 21. ფულის ერთეული ჩინეთში; 23. მოკლე შარვალი.

თარაზულად: 6. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 7. ქართველი პრიმაბალერინა; 8. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური კომპანია; 9. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 15. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 18. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 20. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 22. ქართველი მევიოლინე ქალი; 24. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 25. პირველი მაჯის საათების შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 26. მონასტერი ახმეტის რაიონში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. საფარა; 2. აული; 3. გალომანია; 4. დუომო; 5. ნირვანა; 8. ზეკარი; 9. სამტრედია; 12. ჯალიტა; 14. ხახული; 16. აყირო.

თარაზულად: 1. სიკოფანტი; 6. ხანჯლური; 7. ფუტზალი; 9. სოპოტი; 10. რომა; 11. ტანდემი; 13. მახტა; 15. კადიმა; 17. ხარფუხი; 18. მიზერი; 19. ოფელია; 20. რონალდუ.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ჰამერი; 2. ოქსინო; 3. მარჟა; 5. კრკა; 6. ნაგანი; 8. კენკრა; 11. ტარანტინო; 13. პრომილე; 14. პოლიცია; 15. ნიმეირი; 19. ტროა.

თარაზულად: 1. ჰიპოპოტამი; 4. მარკონი; 7. მანტისა; 9. ჟაკერია; 10. ატენი; 12. აშკენაზი; 16. სატელიტი; 17. ტორნადო; 18. სიკოფანტი; 20. ნამიბია; 21. ნეტო; 22. დიპტანკი.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

1 ოქტომბერი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘ�გᲐ

ატალანტა-შახტარი	1:2
ცრვენა ზვეზდა-ოლიმპიაკოსი	3:1
ლოკომოტივი-ატლეტიკო	0:2
იუვენტუსი-ლევერკუზენი	3:0
რეალი-ბრიუგე	2:2
სიტი-დინამო (ზ)	2:0
ტოტენჰემი-ბაიერნი	2:7
გალათასარაი-პსჟ	0:1

ᲰᲐᲒᲑᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘ

საფრანგეთი-აშშ	33:9
ა.ზელანდია-კანადა	63:0

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 ოქტომბერი

აშშ დოლარი — 2.9755	ევრო — 3.2489
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6474	100 რუსული რუბლი — 4.5718

ამინდის პროგნოზი
3 ოქტომბერი

1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე
რჩეული ნოველები
ორტომეული
ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

8 ოქტომბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

თამარს უამბო დედამ

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

ბაზალეთისა ტბის ძირას

წიგნი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ყველაზე ლამაზი დუნდულების მფლობელი ცნობილია



მის ბუმბუმ 2019-ის სილამაზის კონკურსზე, რომელზეც მსოფლიოში ყველაზე ლამაზი დუნდულების მფლობელს ირჩევენ, პლეიბოის ბრაზილიელმა მოდელმა გაიმარჯვა.

დაჯილდოების ცერემონია ორშაბათს მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში გაიმართა. კონკურსის გამარჯვებული კი ბრაზილიის ქალაქ კამპინასის მკვიდრი 29 წლის სიუზი კორტესი გახდა. 2015 წელს მან მის ბუმბუმ ბრაზილიის ტიტული მოიგო.

2019 წელს კონკურსმა საერთაშორისო სახე მიიღო. მასში კონკურსანტები მთელი მსოფლიოდან იღებდნენ მონაწილეობას, მათ რიცხვში იყვნენ დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, კანადის, ავსტრალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, პორტუგალიის, მექსიკის და ბრაზილიის კონკურსანტები. კონკურსის მონაწილეები ჟიურის წინაშე საცვლებში გამოწყობილები გამოდიოდნენ და დუნდულების დემონსტრირებას ახდენდნენ.

კონკურსში მეორე ადგილი საფრანგეთის წარმომადგენელმა რაიანა ლაურა სუზამ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი ჯესიკა ლოპესი გავიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 ოქტომბრისათვის

ვერძი – ჰარმონიული დღეა, შესაფერისი პერიოდი აქტიური და შინაარსიანი დასვენებისათვის. ნებისმიერ საქმე დღეს თავს იოლად გაართმევთ. მზად იყავით რომანტიკული თავგადასავლებისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. ** კურო** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას, რისკი გამართლებული არ არის. **ტყუპები** – დღეს, უმჯობესია, პირადი ცხოვრებით დაკავდეთ, ასევე იზრუნოთ ჯანმრთელობაზე. მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. **კირჩხიბი** – ფინანსური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ, თუმცა – მხოლოდ მძიმე შრომის შედეგად. საღამოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. **ლომი** – ერიდეთ პარტნიორთან კონფლიქტს. ქალი ლომებისთვის კარგი პერიოდია მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. **ქალწული** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. განსაკუთრებით ერიდეთ კონფლიქტს საქმიან პარტნიორებთან. **სასწორი** – რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება გელით. შესაძლოა, შეყვარებულს დაშორდეთ. ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. **მშვილდოსანი** – დღეს, უმჯობესია, პირად ცხოვრებას მიხედოთ, ასევე იზრუნოთ ჯანმრთელობაზე. მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. **თხის რქა** – გაგიმახვილდებათ ინტუიცია. მოუსმინეთ შინაგან ხმას და ისე იმოქმედეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება არ ღირს. **მერწყული** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. გაგიმართლებთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერაში. საღამოს დიდი ხნის უნახავი მეგობარი მოგინახულებთ. **თევზები** – იმედგაცრუება გელით. გრძნობებს ნუ აჰყვებით. ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით კი ბავშვებს მეტი ყურადღება მიაქციეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ბიჭო, აქამდე ცოლი რატომ არ მოიყვანე?
– სახლში მიყვანილი გოგონები დედაჩემს არ მოსწონს.
– შენც ადექი და ისეთი გოგონა მოძებნე, დედაშენს რომ ჰგავდეს.
– მივიყვანე და მამამ გინებით ამიკლო.

•••

ორი ხანდაზმული მეგობარი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:
– აბა, გავიხსენოთ ახალგაზრდობა და ქალებში გავიაროთ?
– წავიდეთ... მაგრამ უარი რომ გვითხრან?
– ეგ არ იქნება დიდი უბედურება! უბედურება ის იქნება, თუ დაგვთანხმდებიან!...

•••

მამაკაცი ექიმს მიმართავს:
– ექიმო, მეჩვენება, რომ ღამის პეპელა ვარ!
– მაგ საკითხზე მე კი არა, ფსიქიატრს უნდა მიმართოთ!
– ვიცი, მაგრამ თქვენთან შუქი ენთო და...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:
– მინდა, მოგისამძიმრო.
– რა მიზეზით?
– გუშინ ჩემმა ცოლმა ქურქი იყიდა.
– და მე რა შუაში ვარ?
– ხვალ ჩემი ცოლი სტუმრად მოსვლას აპირებს.

•••

ფსიქიატრიულში ხელოსანი კედელს ღებავს. ამ დროს ავადმყოფი მივა მასთან და ეკითხება:
– ფუნჯი ხელში მაგრად გიჭირავს?
– კი.
– მაშინ კიბეს წავიღებ.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:
– იპოდრომზე მივდივარ!
– დღეს დღი არ იქნება!
– რატომ?
– შენს ფაშატს ცხვირპირი მივუნაყე...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პოჩეტინო: „ბაიერნმა ყველა დარტყმა გაიტანა“

ტოტენჰემმა საკუთარ მოედანზე მიუნჰენის ბაიერნთან გამანადგურებელი მარცხი იწვნია 2:7 და, ბუნებრივია, ასეთი ანგარიშის შემდეგ მაურისიო პოჩეტინოს უამრავი კითხვა დაუსვეს. არგენტინელმა სპეციალისტმა თავი გაიმართლა და თქვა, რომ მის გუნდს უბრალოდ არ გაუმართლა:

– თამაში კარგად დავიწყეთ და პირველი ტაიმის შემდეგ ვერავინ იფიქრებდა, რომ ასეთი ანგარიში დაფიქსირდებოდა. ეს კატასტროფაა, მაგრამ უბრალოდ არ გაგვიმართლა. ბაიერნმა ყველა დარტყმული გაიტანა.

მატიას დე ლიხტი: „იუვენტუსში ადაპტაციას გავდივარ“

იუვენტუსის ცენტრალურმა მცველმა მატიას დე ლიხტმა განაცხადა, რომ იუვენტუსში ის ჯერჯერობით ადაპტაციას გადის და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს თავისი პოტენციალის სრულად გამოვლენას:

– ვფიქრობ, ახალ გუნდში თითქმის არავის შეუძლია მაშინვე მაღალ დონეზე თამაში და ადაპტაცია ყველასთვის აუცილებელია. ბოლო შეხვედრებში ვგრძნობ, რომ უკეთ გამოვიყურები, თუმცა ეს ჩემი მაქსიმუმი არ არის.

დე ლიხტმა იუვენტუსში გადასვლის შემდეგ რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, თუმცა ის კვლავ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია.

დანი ალვეში: „გვარდიოლას ბარსა საუკეთესო იყო“

ბრაზილიელმა მცველმა დანი ალვეშმა ის დრო გაიხსენა, როდესაც ის ბარსელონაში თამაშობდა და გვარდიოლა მთავარი მწვრთნელი იყო. ალვეშის აზრით, იმ პერიოდის ბარსელონა საფეხბურთო ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო:

– მაშინდელი დრო უბრალოდ ოქროს პერიოდი იყო, რადგან ჩვენ საუკეთესოები ვიყავით. არა მხოლოდ მინდორზე, არამედ მის გარეთაც ძალიან კარგად გვესმოდა ერთმანეთის. ის დრო არასოდეს დამავიწყდება და გვარდიოლა ამ ყველაფრის შემოქმედი იყო. მაშინდელი ბარსა საუკეთესო გუნდია, სადაც ოდესმე მითამაშია.

კლაუდიო მარკიზიომ კარიერა დაასრულა

იუვენტუსის ყოფილმა ფეხბურთელმა კლაუდიო მარკიზიომ საფეხბურთო კარიერა დაასრულა და ამის მიზეზად მან მუდმივი ტრავმები დაასახელა.

მარკიზიო ჯერ მხოლოდ 33 წლის არის და ის ცნობილი იუვენტუსში გახდა, სადაც 6 წელიწადი ითამაშა.

მარკიზიოს ბოლო გუნდი სანკტ-პეტერბურგის ზენიტი იყო, სადაც მან ბოლო შეხვედრა თებერვალში ჩაატარა.

მარკიზიოს არ სურდა კარიერის დასრულება, მაგრამ იძულებული გახდა, ეს გადაწყვეტილება მიეღო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ეროვნულ ბიბლიოთეკაში იშხნის ტაძრის იატაკის ასლი დააგეს

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში იშხნის ტაძრის იატაკის ასლი დააგეს.

ინფორმაცია ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ გაავრცელა:

– რამდენიმე წლის წინ ტაოში, იშხნის ტაძარში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების მსვლელობისას, უნიკალური იატაკი გამოჩნდა. მას, გადარჩენილი ნაწილის ფართობის, სიძველის, ორიგინალურობის, მხატვრული ღირებულებისა თუ შესრულების ხარისხის თვალსაზრისით, ქართულ ტაძრებში გამოვლენილი ვერც ერთი სხვა იატაკი ვერ დაუდგება გვერდით. გადასარევი იდეა დაებადა ორიგინალური აზრებით გამორჩეულ ლევან თაქთაქიშვილს, რომ ამ იატაკის ერთგვარი ასლი გაკეთებულიყო ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

გამოგიტყდებით, თავიდან ცოტა ფანტასტიკის სფერო მეგონა, მაგრამ... გაიხსნა ეს ახალი დარბაზი, სადაც იშხნის საოცრად ეფექტური იატაკის მაქსიმალურად მიახლოებულ, ასევე ძალიან ეფექტურ რეკონსტრუქციას იხილავთ. მიხარია, რომ მცირე წვლილი მეც მიმიძღვის ფოტოების მიწოდებისა თუ საკითხების განხილვაში მონაწილეობის კუთხით.

გია ყანჩელი გარდაიცვალა



კომპოზიტორი გია ყანჩელი 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. ხელოვანს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და მკურნალობას საავადმყოფოში გადიოდა.

გია ყანჩელის გარდაცვალება განიცადეს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მის მიერ შექმნილი ნაწარმოებები მთელ მსოფლიოში ჟღერდა.

არაერთი ნაწარმოების ავტორი ქართველებისთვის მის გენიალურ სიმღერასთან „ყვითელ ფოთლებთან“ ასოცირდება. სპექტაკლებისა და ფილმებისთვის შექმნილი მუსიკის პარალელურად, მსმენელს ძალიან უყვარდა მისი სიმფონიები. ერთ-ერთი ბოლო ნაწარმოები, რომელიც კომპოზიტორმა დაწერა, მის უახლოეს მეგობარს გია დანელიას მიუძღვნა და მას „დანელიადა“ უწოდა.

თავად კომპოზიტორი კი გარდაცვალებამდე აცხადებდა, რომ მისი ყველაზე დიდი ოცნება გია ყანჩელის მუსიკის მომავალში შესრულება იქნებოდა:

– მთელი ჩემი ცხოვრება ყოველდღიურ შრომაში გავატარე. ეს შრომა იწყებოდა დილით და მთავრდებოდა გვიან ღამე. თუ წარმოიდგენთ, რომ ეს ხდებოდა ყოველდღე, ალბათ მიხვდებით, თუ როგორი რთული იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, სულ ვცდილობდი, ჩემს მუსიკაში ჩამედო ის, რაც დაკავშირებულია სიმშვიდესთან და ეფიქრა მსმენელს, რომ ყოველივე ეს მარტივად მოდის.

ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი შემოქმედება მომავალში დაიწყებას არ მიეცემა და აღიქმება როგორც მცდელობა სიბნელიდან თავის დაღწევისა და სინათლისაკენ სწრაფვისა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 2. საავტომობილო შეჯიბრის ერთ-ერთი სახეობა; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. ჩინური ფინიკი; 5. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 8. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 9. უბანი ქუთაისში; 12. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 14. ნ.ბ.ა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 16. უძრავი ქონების დროებით დაქირავება.

თარაზულად: 1. ანტიკური მედიცინის ფუძემდებელი; 6. ძუნწი, წუწურაქი ადამიანი; 7. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 9. ფრანგი ტიფლოპედაგოგი უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი; 10. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 11. ქართული სანადიმო სიმღერა; 13. უდაბნო აფრიკაში; 15. ლექციის, მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 17. რაიონული ცენტრი აღმოსავლეთ საქართველოში; 18. მომღერალთა გუნდი; 19. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; 20. ზღუდე, დაბრკოლება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა